

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1-4
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ენერგო-პრო ჯორჯია და მისი ოპერაციები.....	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. ფუნქციონირებადი საწარმო	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
5. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	28
6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	31
7. გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	34
8. შეწყვეტილი ოპერაციები.....	36
9. ძირითადი საშუალებები	37
10. აქტივის გამოყენების უფლება	38
11. მარაგები.....	38
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	38
13. გაცემული სესხები	40
14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	41
15. სააქციო კაპიტალი	41
16. ნასესხები სახსრები.....	41
17. ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება.....	42
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	43
19. სახელშეკრულებო ვალდებულებები	43
20. სხვა ვალდებულებები	44
21. ელექტროენერგიის განაწილება და მომსახურება.....	45
22. სხვა შემოსავალი	47
23. შესყიდული ენერგია	47
24. მომსახურების ხარჯები	48
25. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	48
26. ფინანსური დანახარჯები, წმინდა	49
27. პირობითი ვალდებულებები	49
28. ფინანსური რისკის მართვა.....	51
29. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	55

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით) (ბესსს-ის კოდექსი) და შესრულებული გვაქვს ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების მე-7 და მე-13 შენიშვნებზე, რომლებშიც აღწერილია დაკავშირებულ მხარეებთან კომპანიის გარიგებების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

კომპანიის 2022 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2022 წლის წლიურ მმართველობით ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2022 წლის წლიურ მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე [კონსოლიდირებული] ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.



მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2023 წლის 21 მარტი

თბილისი, საქართველო

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

2023 წლის 21 მარტი

თბილისი, საქართველო

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	779,388	641,998
აქტივის გამოყენების უფლება	10	2,488	1,408
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		21,331	14,246
გუდვილი	4	1,416	1,416
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	12	2,657	6,241
სხვა არამატერიალური აქტივები		3,412	2,667
გაცემული სესხები	13	33,786	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		844,478	667,976
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	6,005	19,766
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	51,674	56,580
სხვა მოკლევადიანი აქტივები		570	227
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	6,832	2,131
სულ მოკლევადიანი აქტივები		65,081	78,704
სულ აქტივები		909,559	746,680
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	5,501	5,501
გაუნაწილებელი მოგება		798,120	575,413
სულ საკუთარი კაპიტალი		803,621	580,914
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	17	5,740	3,934
ნასესხები სახსრები	16	–	8,466
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	20	6,140	5,667
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,880	18,067
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ანარიცხები		484	318
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	25,074	71,521
ნასესხები სახსრები	16	1,948	12,650
სახელშეკრულებო ვალდებულებები	19	61,162	59,581
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	20	5,390	3,629
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		94,058	147,699
სულ ვალდებულებები		105,938	165,766
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		909,559	746,680

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 21 მარტს.

გრიგოლ მამისეიშვილი
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

წლის 21 მარტი
თბილისი, საქართველო

დიანა ელისაბედაშვილი
მთავარი ბუღალტერი

2023 წლის 21 მარტი
თბილისი, საქართველო

9-56 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.


სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	779,388	641,998
აქტივის გამოყენების უფლება	10	2,488	1,408
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები		21,331	14,246
გუდვილი	4	1,416	1,416
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	12	2,657	6,241
სხვა არამატერიალური აქტივები		3,412	2,667
გაცემული სესხები	13	33,786	–
სულ გრძელვადიანი აქტივები		844,478	667,976
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	11	6,005	19,766
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	51,674	56,580
სხვა მოკლევადიანი აქტივები		570	227
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	6,832	2,131
სულ მოკლევადიანი აქტივები		65,081	78,704
სულ აქტივები		909,559	746,680
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	5,501	5,501
გაუნაწილებელი მოგება		798,120	575,413
სულ საკუთარი კაპიტალი		803,621	580,914
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	17	5,740	3,934
ნასესხები სახსრები	16	–	8,466
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	20	6,140	5,667
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,880	18,067
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ანარიცხები		484	318
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	25,074	71,521
ნასესხები სახსრები	16	1,948	12,650
სახელშეკრულებო ვალდებულებები	19	61,162	59,581
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	20	5,390	3,629
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		94,058	147,699
სულ ვალდებულებები		105,938	165,766
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		909,559	746,680

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 21 მარტს.


 გრიგოლ მამისაშვილი
 დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

წლის 21 მარტი
 თბილისი, საქართველო


 დიანა ელისაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

2023 წლის 21 მარტი
 თბილისი, საქართველო

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	2022	2021
ამონაგები და მასთან დაკავშირებული შემოსავალი			
ელექტროენერგიის განაწილება	21	451,130	405,041
მომსახურება	21	45,811	31,918
სულ ამონაგები		496,941	436,959
სხვა შემოსავალი	22	15,865	34,578
შესყიდული ენერგია	23	(104,979)	(97,646)
მომსახურების ხარჯები	24	(31,711)	(22,071)
შრომითი დანახარჯები		(69,770)	(68,143)
კონსულტაციის გასამრჯელო	7	(3,424)	(4,028)
გახარჯული მასალები		(3,983)	(3,083)
საგადასახადო ხარჯები		(11,142)	(6,682)
სხვა საოპერაციო ხარჯები	25	(6,877)	(14,776)
შემოსავალი ფინანსური შემოსავლის/ხარჯის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		280,920	255,108
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(57,423)	(50,728)
შემოსავალი ფინანსური შემოსავლის/ხარჯის და მოგების გადასახადის, დარიცხვამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		223,497	204,380
ფინანსური შემოსავალი	26	8,026	7,641
ფინანსური დანახარჯები	26	(3,459)	(15,621)
ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები), წმინდა მოგება დაბეგრამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		4,567	(7,980)
228,064		196,400	
მოგებიდან გადასახადები		–	–
წლის მოგება განგრძობითი ოპერაციებიდან		228,064	196,400
შეწყვეტილი ოპერაციები			
წლის წმინდა მოგება შეწყვეტილი ოპერაციებიდან	8	–	7,989
წლის წმინდა მოგება		228,064	204,389
წლის სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის სრული შემოსავალი		228,064	204,389

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	5,501	371,024	376,525
2021 წლის მთლიანი სრული ზარალი	–	204,389	204,389
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,501	575,413	580,914
2022 წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	228,064	228,064
ფინანსური გარანტიის გაცემა (17 შენიშვნა)	–	(5,357)	(5,357)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,501	798,120	803,621

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათას ლარში

	შენიშვნა	2022	2021
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება დაბეგვრამდე		228,064	204,389
კორექტირებები:			
შემოსულობა შვილობილი საწარმოს გასხვისებიდან	22	–	(22,000)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		57,423	50,728
ფინანსური შემოსავალი	26	(8,026)	(7,641)
ფინანსური დანახარჯები	26	3,459	15,621
ცვლილებები რეზერვებში		(1,099)	2,954
უსასყიდლოდ გადაცემული აქტივები	22	(1,474)	(1,776)
მოთხოვნების ჩამოწრა		–	1,422
მიღებული გრანტი	22	(418)	(408)
ძირითადი საშუალებების და მარაგების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა	22	(154)	(73)
მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ნამეტი	22	(534)	(705)
მარაგების მოძველების ხარჯი	25	335	691
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		277,576	243,202
მარაგების ზრდა		(7,545)	(6,207)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება		10,445	16,350
სხვა მოკლევადიანი აქტივების (ზრდა)/შემცირება		(343)	317
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(31,730)	(186,275)
სახელმეკრულებო ვალდებულებების ზრდა		1,581	18,033
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)		958	(6,466)
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში		(26,634)	(164,248)
მიღებული პროცენტი		449	740
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		251,391	79,694
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
არამატერიალური აქტივების და ძირითადი საშუალებების შეძენა		(192,035)	(110,290)
შვილობილი საწარმოს გაყიდვიდან მიღებული შემოსულობა		–	30,000
გაცემული სესხები	13	(34,641)	(7,465)
დაფარული სესხები	13	2,500	7,465
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(224,176)	(80,290)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
აღებული სესხები	16	26,200	17,409
ნასესხები სახსრების დაფარვა	16	(43,861)	(15,011)
საიჯარო ვალდებულების ძირითადი ნაწილის გადახდა		(544)	(674)
გადახდილი პროცენტი		(3,918)	(15,012)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(22,123)	(13,288)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		5,092	(13,884)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(391)	(198)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	2,131	16,213
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	6,832	2,131

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები

- ▶ 2022 წელს შემდეგ არაფულადი მუხლები შევიდა არამატერიალური აქტივების და ძირითადი საშუალებების შესყიდვაში: 13,701 ლარის ცვლილება ძირითად საშუალებებში გადასახდელ თანხებში (2021 წლის 31 დეკემბერი: 10,807 ლარი), მარაგების გადატანა ძირითად საშუალებებში 23,818 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბერი: 1,783 ლარი), სახელმწიფო გრანტების ფარგლებში მიღებული დამატებითი ძირითადი საშუალებები 163 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბერი: 273 ლარი). გარდა ამისა, 7,085 ლარის ცვლილება შევიდა ძირითად საშუალებებში გადახდილ ავანსში 2022 წლის განმავლობაში (2021 წლის 31 დეკემბერი: 14,246 ლარი).

9-56 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ენერგო-პრო ჯორჯია და მისი ოპერაციები

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“), რომლის საიდენტიფიკაციო ნომერია 205169066, 2006 წლის 31 ივლისს საქართველოში დარეგისტრირებული და მოქმედი კომპანიაა. მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა სააქციო საზოგადოება და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია ზურაბ ანჯაფარიძის ქ. 24, 0186 თბილისი, საქართველო. კომპანია შედის ჯგუფში, რომლის სათავე ოფისი მდებარეობს ჩეხეთის რესპუბლიკაში და რომელიც ფლობს საქართველოს, ბულგარეთის, თურქეთის და კოლუმბიის ენერგოსექტორებში მოქმედ მრავალ საწარმოს. საქართველოში ბაზრის ახალი რეგულაციების თანახმად (განცალკევების პროცესი), კომპანიამ და მისმა დოზილმა კომპანიებმა საქართველოში განიცადა გარკვეული ჯგუფური რესტრუქტურირება 2021 წელს, რაც წარმოადგენდა საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ სამეურნეო სუბიექტებთან ოპერაციებს და არ გამოუწვევია ცვლილება საბოლოო მესაკუთრეობაში.

ინფორმაცია კომპანიის მესაკუთრეების შესახებ 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრისთვის ასე გამოიყურება:

	2022	2021
„ენერგო პრო ეი. ეს.“ (ჩეხეთის რესპუბლიკა)	50.1%	50.1%
სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“ (საქართველო)	49.9%	49.9%
სულ	100%	100%

„ენერგო-პრო ეი. ეს.“ („მშობელი საწარმო“) ფლობს სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგის“ 100%-ს. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი საწარმოს აქციების 100%-ს ფლობს „DK Holding Investments s.r.o.“. ამ უკანასკნელის აქციების 100%-ის მფლობელია ბატონი იარომირ თესარი, რომელიც ამასთანავე კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა.

2021 წლის 29 დეკემბერს მშობელმა საწარმომ და სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგმა“ („უშუალო მშობელი საწარმო“) გააფორმეს მართვის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც კომპანიაზე სრული კონტროლი გადაეცა უშუალო მშობელ საწარმოს.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ელექტროენერგიის განაწილებაა. საქართველოში ელექტროენერგიის მიწოდება იყო განაწილების ბიზნესის ნაწილი, სანამ სამართლებრივი განცალკევება შევიდოდა ძალაში 2021 წლის 1 ივლისს „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ თანახმად. ამ თარიღამდე მიწოდების საქმიანობას ახორციელებდა კომპანია. განაწილებისა და მიწოდების საქმიანობების სამართლებრივი განცალკევების მოთხოვნის გამო, კომპანიამ მოითხოვა და მიიღო ახალი განაწილების ლიცენზია, რომელიც ამოქმედდა 2021 წლის 1 ივლისიდან განუსაზღვრელი ვადით. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია მოქმედებს თავისი ლიცენზიით განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში, რაც მთლიანად მოიცავს საქართველოს, გარდა დედაქალაქ თბილისისა და რეგიონებისა, რომლებსაც დროებით არ აკონტროლებს საქართველოს მთავრობა. კომპანია თავისი ელექტროგამანაწილებელი ქსელით ემსახურება 1.3 მილიონზე მეტ მომხმარებელს. კომპანიის ოპერაციებს არეგულირებს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია („სემეკი“ ან „მარეგულირებელი ორგანო“), რომელიც ასევე აწესებს კომპანიის ტარიფებს კომპანიის მომსახურებათა უმრავლესობისთვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა აქციონერების მიერ. აქციონერთა კრება, ჩვეულებრივ, ტარდება საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის პირველ ნახევარში. აქციონერებს შეუძლიათ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომზადებული ეს ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემულ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“). ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ, მე-4 შენიშვნაში. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამ არ არის მითითებული.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ამ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, ამჟამინდელი მიზნები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გააანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული ვითარების გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 28,977 ლარით აღემატებოდა (2021 წლის 31 დეკემბერი: 68,995 ლარი). კომპანიამ 2022 წელს მიიღო 228,064 ლარის წმინდა მოგება (2021 წ.: 204,389 ლარი).

ხელმძღვანელობა მიზანშეწონილად მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების ადეკვატურობის შეფასებისას, კომპანია მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- ▶ 2020 წლის 29 დეკემბერს სემეკმა დააწესა ელექტროენერგიის მოხმარების ახალი ტარიფები საბოლოო მომხმარებლებისთვის. გაზრდილი ტარიფები ძალაში შევიდა 2021 წლის 1 იანვარს და აანაზღაურა წინა პერიოდების ზარალი.
- ▶ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას შემცირებული ჰქონდა თავისი ფაქტორინგული სავაჭრო ვალდებულებები 7,601 ლარამდე (2021 წლის 31 დეკემბერი: 45,780 ლარი). ვალდებულებებზე ფაქტორინგული ხელშეკრულება გაფორმდა ქართულ კომერციულ ბანკებთან ერთიდან სამ თვემდე ვადით, და ერიცხება წლიური 6%-14.75%. გაზრდილი ტარიფების გამო კომპანიამ მნიშვნელოვნად შეამცირა ფაქტორინგული დავალიანების 2022 წელს და 2021 წელს დაგროვილი ნაშთი და 2023 წლის ბოლოსთვის მის სრულად დაფარვას მოელოს. ბანკებთან ურთიერთობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ფულადი სახსრების დეფიციტის შემთხვევაში, კომპანია არ მოელოს სირთულეს სავაჭრო ვალდებულებების დაფარვის თარიღის გადავადებით 2023 წელს.
- ▶ 2021 წლის 1 ივლისიდან კომპანია მხოლოდ განაწილების მომსახურებას უწევს მომხმარებლებს. კანონმდებლობაში ცვლილებების გამო, განცალკევების შემდეგ განაწილების ოპერატორს, როგორც კომპანია, აღარ აქვს საკრედიტო რისკი საბოლოო მომხმარებლებისგან. დავალიანების ამოღების რისკი მთლიანად მომწოდებელს აქვს. მარეგულირებლის მიერ დაწესებული ტარიფი ანაზღაურებს განაწილების და განაწილების მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯებს. ასე, რომ კომპანია იღებს შეთანხმებულ უკუგებას ინვესტიციაზე.
- ▶ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მშობელი საწარმოსგან და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან ნასესხები სახსრების მიმდინარე ნაწილი გაუტოლდა 1,948 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 12,638 ლარი) (მე-16 შენიშვნა). მშობელმა საწარმომ დაადასტურა, რომ აქვს კომპანიის მხარდაჭერის შესაძლებლობა და სურვილი, რაც გამოიხატება კომპანიისთვის საკმარისი ფულადი სახსრების გამოყოფით, რათა მან შეძლოს საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელება ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღიდან თორმეტი თვის განმავლობაში.
- ▶ ელექტროენერგიის განაწილებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებები (მე-19 შენიშვნა), 39,715 ლარის ოდენობით 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოადგენს სს „ეპ ჯორჯია მიწოდებისგან“ მიღებულ ავანსებს 2021 წლის 28 ივნისით დათარიღებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების“ მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ თანხა გაცხადებულია, როგორც მოკლევადიანი ვალდებულებების ნაწილი, ქსელის წესები მოითხოვს, რომ მომწოდებელმა კომპანიამ ეს დეპოზიტი იქონიოს სადისტრიბუციო კომპანიასთან თავისი ოპერაციების განმავლობაში, შესაბამისად, ხელმძღვანელობა მოელოს, რომ ავანსის მოთხოვნა არ მოხდება განჭვრეტად მომავალში.

ხელმძღვანელობის აზრით, ამ ინიციატივების ერთობლიობა კომპანიას უზრუნველყოფს საკმარისი ლიკვიდურობით, რომ საქმიანობა განჭვრეტად მომავალში გააგრძელოს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები

(i) ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარების დროს ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია მათი საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც ის ამ ფინანსურ აქტივებს მართავს. კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რასაც, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ემატება გარიგების დანახარჯები. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენა, ფასდება გარიგების ფასით ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შესაბამისად.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირება და სრულდება ინსტრუმენტის დონეზე.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების შედეგად. კომპანიის ბიზნესმოდელის შეფასება მოხდა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ თავდაპირველი გამოყენების თარიღის, 2018 წლის 1 იანვრის, მდგომარეობით. კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტი და ოპერაცია მიმართულია ელექტროენერგიის დისტრიბუციიდან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისკენ. ეს არის კომპანიის მთავარი მიზანი და ყოველდღიური საქმიანობა. წარსულში კომპანიას არასდროს გაუყვია თავისი ფინანსური ინსტრუმენტები. კომპანიის წარსულში მიღებული გამოცდილებისა და ამჟამინდელი მიზნების მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და კლასიფიცირებულია პირველ ბიზნესმოდელში – ფლობა ფულადი ნაკადების მისაღებად (H2C).

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას კუმულაციური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- ▶ მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ფინანსური აქტივების ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა (სავალო ინსტრუმენტები) ყველაზე რელევანტურია კომპანიისთვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტები)

კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილზე დარიცხული პროცენტის გადახდას.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებში შედის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გაცემული სესხები.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის

აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ისე, რომ ასახავდეს კომპანიის მიერ შენარჩუნებულ უფლებებსა და მოვალეობებს.

შენარჩუნებული მონაწილეობა, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, ფასდება უმცირესით აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალური თანხას შორის, რომლის გადახდაც შესაძლოა კომპანიას დასჭირდეს.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის ამორტიზებული ღირებულებით აღიარებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ყველა იმ ფულად ნაკადს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს მიხედვით განაკვეთით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

იმ კრედიტების შემთხვევაში, სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომელთა საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვები იქმნება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის მოვლენით განპირობებული საკრედიტო ზარალისთვის (12-თვიანი საკრედიტო ზარალი). ისეთი კრედიტების შემთხვევაში, რომელთა საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვის შექმნა სავალდებულოა კრედიტის დარჩენილი ვადის განმავლობაში მოსალოდნელი ზარალისთვის, იმისდა მიუხედავად, თუ როდის დგება დეფოლტი (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). კომპანია 12-თვიანი საკრედიტო ზარალის რეზერვს ქმნის ბანკში განთავსებული ნაღდი ფულის ნაშთებისთვის.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია, ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულში მიღებულ გამოცდილებას.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდა 90 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე.

უიმედო აქტივები ჩამოიწერება გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე მას შემდეგ, რაც აქტივის ამოღებისთვის საჭირო ყველა პროცედურა დასრულდება, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს და ზარალის ოდენობა განსაზღვრულია. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კრედიტდება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე წლის მოგებაში ან ზარალში.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შეფასება

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ვალდებულებები ან, როგორც წარმოებული ინსტრუმენტები, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, ასახულია, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტები ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. კომპანია თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი საწყისი აღიარებისას.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხებისა და გადასახდელი ანგარიშებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს ნასესხებ სახსრებს (მე-16 შენიშვნა) და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს (მე-18 შენიშვნა), ფინანსურ გარანტიებს (მე-17 შენიშვნა) და სხვა ვალდებულებებს (მე-20 შენიშვნა), როგორიცაა საიჯარო ვალდებულებები, საგადასახადო ვალდებულებები და ვალდებულებები პერსონალის წინაშე.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნით, ფინანსური ვალდებულებები ორ კატეგორიად იყოფა:

- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- ▶ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები (სესხები და გადასახდელი ანგარიშები).

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებასა და ზარალში ასახვით

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები, მოგებაში ან ზარალში ასახვით, მოიცავს სავაჭროდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებს და იმ ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭროდ განკუთვნილის კატეგორიას ფინანსური ვალდებულებები იმ შემთხვევაში მიეკუთვნება, თუ ისინი გაწეულია უახლოეს მომავალში გამოსყიდვისთვის. ამ კატეგორიაში ასევე შედის კომპანიის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ მიეკუთვნება ჰეჯირების ინსტრუმენტებს ფასს 9-ით განსაზღვრულ ჰეჯირების ურთიერთობებში. განცალკევებული ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები ასევე კლასიფიცირდება, როგორც სავაჭროდ განკუთვნილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი კლასიფიცირებულია ჰეჯირების ეფექტურ ინსტრუმენტებად.

სავაჭროდ განკუთვნილი ვალდებულებებიდან მიღებული შემოსულობა თუ ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც საწყისი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, კლასიფიცირდება აღიარების თავდაპირველი თარიღით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კმაყოფილება ფასს 9-ის კრიტერიუმები. კომპანიას არ აღურიცხავს სასესხო ვალდებულებები, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები (სესხები და გადასახდელი ანგარიშები)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. საწყისი აღიარების შემდეგ, სესხებისა და მისაღები ანგარიშების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები საწყისი აღიარების შემდეგ ფასდება შემდეგ ორ თანხას შორის უდიდესით: (i) ზარალის რეზერვის ოდენობა და (ii) თავდაპირველად აღიარებული თანხა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, აკლდება ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ პრინციპების შესაბამისად აღიარებული შემოსავლის კუმულაციური თანხა.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ჩაანაცვლებს მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება. შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის განსხვავება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ა) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხორციელდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი უფლება თანხების ურთიერთგადაფარვისა და განზრახული აქვს შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვა ან ერთდროულად აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

(ბ) სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე, ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად – არასაბაზრო მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, იმ ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია 29-ე შენიშვნაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) საწარმოთა გაერთიანება და გუდვილი

საწარმოთა გაერთიანება აღირიცხება შესყიდვის მეთოდით. შესყიდვის ღირებულება გამოითვლება შემდეგი კომპონენტების დაჯგუფებით: შესყიდვის დღეს სამართლიანი ღირებულებით გადახდილი საფასური და შეძენილი კომპანიის ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის მოცულობა. საწარმოთა გაერთიანების თითოეულ შემთხვევაში, კომპანია შეძენილი კომპანიის არამაკონტროლებელ წილებს აფასებს სამართლიანი ღირებულებით ან ამოცნობადი წმინდა აქტივების პროპორციული წილის შესაბამისად. შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე და შედის ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კომპანია განსაზღვრავს, რომ მას შეძენილი აქვს ბიზნესი მაშინ, როდესაც შეძენილი საკმიანობა და აქტივები შეიცავს წარმოების კომპონენტებს და არსებით პროცესს, რომლებიც ერთობლივად იძლევა წარმოების შესაძლებლობას.

შეძენილი პროცესი არსებითად ითვლება მაშინ, თუ მას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ნაწარმის შექმნისთვის და შეძენილი წარმოების კომპონენტები შეიცავს ამ პროცესის წარმართვისთვის საჭირო უნარებით, ცოდნითა თუ გამოცდილებით აღჭურვილ ორგანიზებულ სამუშაო ძალას ან თუ ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმოების შექმნაში და მიიჩნევა უნიკალურად, იშვიათად ან შეუცვლელად მნიშვნელოვანი დანახარჯის, ძალისხმევის ან წარმოების შეფერხების გარეშე.

როდესაც კომპანია შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული საკონტრაქტო ვალდებულებების, ეკონომიკური პირობებისა და მშობელი საწარმოს პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შესყიდული საწარმოს მიერ ჩართული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას ძირითად ხელშეკრულებებში.

ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შემძენის მიერ, აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის

პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება კაპიტალად, არ გადაფასდება და მისი შემდგომი გადახდა აღირიცხება კაპიტალში. პირობითი საფასური, რომელიც მოიაზრება აქტივად ან ვალდებულებად, წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და შეესაბამება ფასს 9-ს „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სამართლიან ღირებულებაში შემდგომი ცვლილებები აისახება მოგება-ზარალის

ანგარიშებაში ფასს 9-ის შესაბამისად. სხვა პირობითი ანაზღაურება, რომელიც არ ექცევა ბასს 39-ის მოქმედების არეალში, ფასდება სამართლიანი ღირებულებით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის, ხოლო სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგება-ზარალში.

გუდვილის საწყისი შეფასება ხდება თვითღირებულებით (რაც არის გადაცემული საზღაურის და არამაკონტროლებელი წილებისთვის აღიარებული თანხის, ასევე წმინდა შეძენილ ამოცნობად აქტივებში და ნაკისრ ვალდებულებებში ფლობილი ყოველგვარი წინა წილების ჯამის ზედმეტობა). თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ ღირებულებაზე, კომპანია ხელახლა აფასებს, სწორად ამოიცნო თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ ანაზღაურებას, მაშინ ხდება მოგების აღიარება მოგებაში ან ზარალში.

საწყისი აღიარების შემდგომ, გუდვილის შეფასება ხდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. კომპანია ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას სულ მცირე ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს გუდვილის გაუფასურების შესაძლო ნიშნები.

როდესაც გუდვილი მიეკუთვნება ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულს და ამ ერთეულის ოპერაციების ნაწილი არის გასხვისებული, გასხვისებულ ოპერაციასთან დაკავშირებული გუდვილი ჩართულია აღნიშნული ოპერაციის საბალანსო ღირებულებაში იმისთვის, რომ მოხდეს გასხვისებით მიღებული შემოსულობის ან ზარალის მართებული განსაზღვრა. ასეთ შემთხვევაში, გასხვისებულ ოპერაციაზე მიკუთვნილი გუდვილის განსაზღვრა ხდება გასხვისებული ოპერაციის ღირებულებასა და ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულში შენარჩუნებული ხვედრითი წილის მიხედვით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებისთვის შექმნილი რეზერვების გამოკლებით, სადაც საჭიროა. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და სესხით სარგებლობის ხარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო მომსახურების ვადით და შესაბამისად არიცხავს ცვეთას. წვრილმანი შეკეთებისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების დანახარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

მომხმარებლებისთვის გადაცემული ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღისთვის, როდესაც მათზე კონტროლი იქნა მოპოვებული.

(ii) ცვეთა

მიწისა და დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა არ ხდება. ძირითადი საშუალებების სხვა მუხლების ცვეთა გამოანგარიშდება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
მიწა და შენობა-ნაგებობები	20–100
ტექნიკური აღჭურვილობა და დანადგარები	8–25
სხვა აღჭურვილობა, ავეჯი და მოწყობილობები	2–10
სხვა ძირითადი საშუალებები	5–25

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ბანკი ამჟამად მიიღებდა ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისაა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად დაკორექტირდება.

(iii) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც სხვაობა აქტივის წმინდა გასვლის ამონაგებსა და და საბალანსო ღირებულებას შორის) აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, რომლის განმავლობაშიც შეწყდა აქტივის აღიარება.

(ე) იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

საწყისი აღიარება და შეფასება

ხელშეკრულების გაფორმების დროს კომპანია აფასებს, ის წარმოადგენს ან შეიცავს თუ არა იჯარას. ეს შეფასება გულისხმობს განსჯას იმის თაობაზე, დამოკიდებულია თუ არა ის კონკრეტულ აქტივებზე, კომპანია იღებს თუ არა არსებითად სრულ ეკონომიკურ სარგებელს აქტივით სარგებლობისგან და აქვს თუ არა კომპანიას უფლება, წარმართოს აქტივის გამოყენება. კომპანიამ ასევე არჩია ფასს 16-ით გათვალისწინებული გამარტივებული მიდგომის გამოყენება მაქსიმუმ 12-თვიანი ვადის მქონე მოკლევადიანი იჯარებისთვის და ისეთი იჯარებისთვის, რომელთა საბაზისო (საიჯარო) აქტივი დაბალი ღირებულებისაა. კომპანია მოკლევადიან და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს გამარტივებული მეთოდით აღრიცხავს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) იჯარა (გაგრძელება)

ასეთ ხელშეკრულებებზე საიჯარო გადახდების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი უკავშირდება, იჯარის ვადაზე წრფივი დარიცხვით.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად, იჯარის ვადა განისაზღვრება, როგორც იჯარის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას დამატებული ხელშეკრულების ვადის შესაძლო გაგრძელება. თუ იჯარის ხელშეკრულებას განუსაზღვრელი ვადა აქვს, იჯარის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების შესაძლო გაგრძელების ვადით.

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღით.

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლების საწყისი შეფასება ხდება საწყისი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- ▶ საიჯარო ვალდებულების საწყისი შეფასების ღირებულება;
- ▶ იჯარის დაწყების თარიღით ან ამ თარიღამდე (იჯარის წინასწარ გადახდა) შესრულებულ საიჯარო გადახდებს გამოკლებული მეიჯარისგან მიღებული ყოველგვარი წამახალისებელი გადახდები;
- ▶ მოიჯარის სავარაუდო დანახარჯები, დაკავშირებული საიჯარო აქტივის დემონტაჟთან, გადატანასა და აღდგენასთან, საიჯარო ხელშეკრულების თანახმად.

აქტივის გამოყენების უფლებას შემდგომში ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე ან საიჯარო ვადის ბოლო თარიღამდე, რომელიც უფრო ადრე დადგება. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება იჯარის ან სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადებიდან უფრო მოკლე ვადის განმავლობაში. აქტივის გამოყენების უფლება ასევე ექვემდებარება გაუფასურებას.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც გამოითვლება, როგორც იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი თანხების დღევანდელი ღირებულება. საიჯარო გადასახადები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულ მისაღები საიჯარო შეღავათებით, ცვლად საიჯარო გადასახადებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადასახადები ასევე შედგება შესყიდვის ოფციონის აღსრულების ფასისგან, რომლის კომპანიის მიერ გამოყენების გონივრული რწმენა არსებობს, და იჯარის შეწყვეტისთვის გადახდილი ჯარიმებისგან, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იჯარის შეწყვეტის ოფციონის აღსრულებას.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის მიბმული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯად (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი გაიწევა მარაგების შესაქმნელად), რომლის განმავლობაშიც დგება გადახდის გამოწვევი მოვლენა ან პირობა.

საიჯარო გადასახადების დღევანდელი ღირებულების გამოსათვლელად კომპანია იყენებს თავის ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის დაწყების თარიღისთვის, რადგან საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის.

შემდგომი შეფასება

იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, რათა ასახოს პროცენტის ზრდა და მცირდება იჯარის გადახდის შესაბამისად. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ხდება იჯარის ვადის მოდიფიკაცია ან ცვლილება, თუ იცვლება საიჯარო გადახდები (მაგ. ცვლილება სამომავლო გადახდებში მათი ოდენობის განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ან ცვლილება შედის საიჯარო აქტივის შესყიდვის ოფციონის შეფასებაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) იჯარა (გაგრძელება)

კომპანია ხარჯებს საიჯარო ვალდებულებაზე დარიცხული პროცენტის სახით აღიარებს ფინანსური ხარჯებში, რომელსაც ასახავს მოგებაში ან ზარალში.

კომპანიამ არჩია, რომ საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი მიეკუთვნებინა ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად ნაკადებში გადახდილი პროცენტისთვის.

კომპანია, როგორც მეიჯარე

იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. იჯარიდან შემოსავალი აღირიცხება დარიცხვის წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ამონაგების ნაწილში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული საწყისი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორც საიჯარო შემოსავლისა. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება ამონაგების სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

(ვ) არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით და შემდეგ თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. კომპანიის შიგნით წარმოქმნილი არამატერიალური აქტივების კაპიტალიზაცია, გარდა კაპიტალიზებული კვლევა-განვითარების ხარჯებისა, არ ხდება და ხარჯი აისახება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს ხარჯი გაიწია.

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს, გუდვილის გარდა, განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, ძირითადად, მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს და სხვა საოპერაციო ლიცენზიებს, და კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოყენებისთვის მომზადებაზე გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

არამატერიალური აქტივები ამორტიზდება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა წლებში
პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები	2-7 წელი
სხვა არასაოპერაციო ლიცენზიები	3-7 წელი

შეზღუდული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება შემცირდება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უფრო მაღალ ღირებულებამდე.

ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო მომსახურების განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება.

მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. შეზღუდული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

კომპანია არ ფლობს სასარგებლო მომსახურების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფასდება, როგორც აქტივის წმინდა გასვლის ამონაგებსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(ზ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც გუდვილის წლიური შემოწმება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოღინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი გამოიყენება. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას გამოითვლის უახლესი დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლისთვისაც გამოყოფილია ესა თუ ის აქტივი. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები, ჩვეულებრივ, ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგების, მათ შორის მარაგების გაუფასურების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამის ხარჯის კატეგორიებში.

ისეთი აქტივების შემთხვევაში, რომლებშიც გუდვილი არ შედის, ანგარიშგების ყოველი თარიღით ფასდება, არსებობს თუ არა იმის ნიშანი, რომ მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღმოფხვრილი ან შემცირებული იყოს. თუ ამის ნიშნები მართლაც არსებობს, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენით ღირებულებას. გაუფასურების შედეგად განცდილი უკვე აღიარებული ზარალის შებრუნება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. გაუქმების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურებით გამოწვეული ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

(თ) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო რწმუნება, რომ ასეთი გრანტი მიიღება და მასთან დაკავშირებული ყველა პირობა დაკმაყოფილდება. როდესაც გრანტი ეხება ხარჯების მუხლოს, მისი სისტემატური აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდის განმავლობაში, რომელშიც აღირიცხება ამ გრანტით დასაფარი შესაბამისი დანახარჯები. როდესაც გრანტი უკავშირდება აქტივს, იგი შემოსავლად აღირიცხება თანაბარი ოდენობებით შესაბამისი აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) სახელმწიფო გრანტები (გაგრძელება)

როდესაც კომპანია იღებს არაფულადი აქტივების გრანტს, აქტივი და გრანტი აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით და გადაიტანება მოგებაში ან ზარალში აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, საბაზისო აქტივის სარგებლის თანაბარი წლიური ოდენობებით გამოყენების საფუძველზე.

(ი) დასაქმებულთა გასამრჯელოები

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიაში დასაქმებულთა მიერ.

2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიას აქვს სამართლებრივი ვალდებულება, რომ დასაქმებულთა მთლიანი ხელფასებიდან და სხვა გასამრჯელოებიდან 2% საპენსიო ფონდში შეიტანოს.

(კ) გადასახადები

(i) მოგებიდან გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც ანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამისი განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადის დავალიანება საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება, არარეზიდენტებზე გაცემული სესხები). ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს, აღირიცხება საოპერაციო გადასახადების მსგავსად და აისახება, როგორც საგადასახადო ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში (მე-13 შენიშვნა).

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ მოთხოვნები და ვალდებულებები, რომლებიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებითი ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(კ) გადასახადები (გაგრძელება)

(iii) განუსაზღვრელი საგადასახადო სტატუსი

კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო სტატუსს ხელმძღვანელობა ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის დასასრულს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებზეც ხელმძღვანელობის აზრით, უფრო არის მოსალოდნელი დამატებითი გადასახადების დაკისრება, თუ ამ პოზიციებს საგადასახადო ორგანოები ექვექვეშ დააყენებენ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობების ინტერპრეტაციებს, რომლებიც ამოქმედდა ან ფაქტობრივად შევიდა ძალაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უწყების ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ვალდებულებები ჯარიმების, პროცენტის და გადასახადების სახით, რომლებიც არ არის დაკავშირებული მიღებულ შემოსავალთან, აღიარებულია იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამ ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს.

(ლ) მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა მიღებად ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს მარაგების შეძენის დანახარჯებს, ასევე წარმოების ხარჯს, წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდგომარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად, და თითოეული ჯგუფისთვის ინდივიდუალურად განისაზღვრება.

წმინდა მიღებად ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

(მ) გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილი ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, საწყისი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას.

თუ არსებობს მინიშნება, რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ მიიღოს გადახდილი ავანსთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მიმდინარე წლის მოგებაში ან ზარალში.

(ნ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ბანკებში განთავსებულ მოთხოვნამდე ანაზრებს და სხვა მოკლევადიან მაღალიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი ვადა, მაქსიმუმ, სამი თვეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის, ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში არ შედის შეზღუდული წვდომის ფულადი ნაშთები. ნაშთები, რომელთა სავალუტო კონვერტაცია ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში, ასახულია შეზღუდული წვდომის ანაზრებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ო) საკუთარი კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები კაპიტალში ნაჩვენებია, როგორც გამოქვითვები შემოსულობიდან, გადასახადის გათვალისწინებით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებითი შენატანები კაპიტალში.

დივიდენდები ტარდება, როგორც ვალდებულება და იქვითება საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც მათი გამოცხადება და დამტკიცება ხდება. ანგარიშგების პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდების შესახებ შენიშვნები მოცემულია „საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების“ ნაწილში.

(პ) ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები პირდაპირ არის მიკუთვნებადი ისეთი აქტივების შეძენის, მშენებლობისა თუ წარმოებისთვის, რომლებსაც სჭირდება არსებითი პერიოდი (ერთ წელზე მეტი) დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად ან გასაყიდად ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად (განსაკუთრებული აქტივები), და კაპიტალიზდება, როგორც ხსენებული აქტივების თვითღირებულების ნაწილი.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღი არის თარიღი, როდესაც (ა) კომპანიას წარმოეშობა ხარჯები განსაკუთრებულ აქტივებთან დაკავშირებით;

(ბ) კომპანიას წარმოეშობა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები; და (გ) კომპანია ახორციელებს ქმედებებს, რომლებიც აუცილებელია აქტივის სარგებლობის ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია გრძელდება აქტივების სარგებლობის ან გასაყიდ მდგომარეობაში არსებითად მოყვანის თარიღამდე.

კომპანია ახდენს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციას, რომლების თავიდან აცილებაც შესაძლებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ განახორციელებდა კაპიტალურ დანახარჯებს განსაკუთრებულ აქტივებზე. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული კაპიტალიზებული დანახარჯები გამოითვლება კომპანიის საშუალო დაფინანსების ღირებულების შესაბამისად (საშუალო შეწონილი საპროცენტო ღირებულება ემატება განსაკუთრებულ აქტივებზე გაწეულ ხარჯებს), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნასესხები სახსრები აღებულია კონკრეტულად განსაკუთრებული აქტივების მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზდება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ფაქტობრივი დანახარჯები, რომელსაც აკლდება ამ ნასესხები სახსრების დროებით ინვესტირების შედეგად წარმოშობილი საინვესტიციო შემოსავალი.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც საწარმო გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

კომპანიამ დროებით უნდა შეაჩეროს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაციის პროცესი ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში, რომელშიც ის დროებით შეაჩერებს განსაკუთრებული აქტივის აქტიურ მშენებლობას

(ჟ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები არის არაფინანსური ვალდებულებები, რომელთა მთავარი მახასიათებლებია დაუზუსტებელი დრო და თანხის ოდენობა. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ არასახელშეკრულებო ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. როდესაც კომპანია მოელის ანარიცხების მთლიანად ან ნაწილობრივ ანაზღაურებას, მაგალითად სადაზღვევო ხელშეკრულების საფუძველზე, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ყოველგვარი ანაზღაურების გამოკლებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ჟ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

თუ ფულის დროითი ღირებულების ეფექტი არსებითია, რეზერვების შეფასება ხდება ვალდებულების დასაფარად გასაწევი მოსალოდნელი დანახარჯების დღევანდელი ღირებულებით, იმ დაბეგვრამდელი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. რეზერვების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია საპროცენტო დანახარჯების ნაწილში.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა მათზე ინფორმაცია წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა მასზე ინფორმაცია წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

(რ) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო საქმიანობს. კომპანიის სამუშაო ვალუტა და მისი წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („ლარი“).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ანგარიშგების შესაბამისი პერიოდის ბოლოსთვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ოპერაციების ანგარიშსწორებისა და, სებ-ის წლის ბოლოსთვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაყვანისას საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი ან ხარჯი. წლის ბოლოსთვის არსებული კურსით გადაყვანა არ ეხება არაფულად მუხლებს, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კაპიტალის ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი არაფულად მუხლებზე, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აისახება სამართლიანი ღირებულების შემოსულობაში ან ზარალში.

(ს) ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს იმ ოდენობით, რაც შეესაბამება ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის თუ მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები.

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება

საწყისი აღიარებისას კომპანია ადგენს, არსებობს თუ არა ხელშეკრულება მომხმარებელთან.

ხელშეკრულება მომხმარებელთან გაფორმდება ფასს 15-ის ფარგლებში, თუ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილდება:

- ▶ ხელშეკრულება დამტკიცებულია ხელშეკრულების მხარეების მიერ;
- ▶ შესაძლებელია გადასაცემ საქონელთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით თითოეული მხარის უფლებების განსაზღვრა;
- ▶ შესაძლებელია გადასაცემი საქონლის ან მომსახურებისთვის გადახდის პირობების განსაზღვრა;
- ▶ ხელშეკრულებას აქვს კომერციული შინაარსი; და
- ▶ მოსალოდნელია საწარმოს მიერ საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მისაღები ანაზღაურების მიღება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ს) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

კომპენსაციის ოდენობის მიღების ალბათობის შეფასებისას კომპანია მხედველობაში იღებს მყიდველის უნარს და განზრახვას, დროულად გადაიხადოს ანაზღაურება. ხელშეკრულების გაფორმებისას კომპანია შეიძლება მოელოდოს, რომ კონტრაქტის მიერ მისთვის გადაცემული საქონლისთვის და/ან მომსახურებისთვის გადახდილი თანხა ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე ნაკლები იქნება. ასეთ შემთხვევაში კომპანია წყვეტს, რომ შეუძლია მყიდველს შესთავაზოს ფასდათმობა და ასეთი ხელშეკრულება აკმაყოფილებს კრიტერიუმებს (ანაზღაურება ხელშეკრულების ფარგლებში, შემცირებული ფასდათმობით, მოსალოდნელია). ფასდათმობები და ფასდაკლებები ცვლადი ანაზღაურების ფორმებია, რომლებიც კომპანიამ უნდა შეაფასოს ხელშეკრულების დასრულებისთანავე და სახელშეკრულებო ფასიდან გამოკვითოს, რათა განსაზღვროს გარიგების ფასი. ამის გამო კომპანიამ აირჩია მომხმარებლების კატეგორიები, რომელთა შემთხვევაშიც კომპანიას არ აქვს სამართლებრივი უფლება, შეწყვიტოს ელექტროენერგიის მიწოდება ან განახორციელოს კომპანიის ჩვეული პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს ფასდათმობების შეთავაზებას.

შესასრულებელი ვალდებულების განსაზღვრა – ვრცელდება კომპანიის ამონაგების ნაკადებზე 2021 წლის 1 ივლისამდე

ელექტროენერგიის გაყიდვა და წარმოება წარმოადგენს მთელ რიგ გამიჯვნად საქონელს და/ან მომსახურებას, რომლებიც პრაქტიკულად იგივეა და მყიდველს გადაეცემა ერთი და იგივე სქემის მიხედვით, ვინაიდან, ფასს 15.23(ა)-ს თანახმად, (ა) მყიდველი ერთდროულად იღებს და მოიხმარს სარგებელს, რომელიც უკავშირდება კომპანიის შესასრულებელ ვალდებულებას მისი შესრულების პროცესში.

ელექტროენერგიის გაყიდვისა და წარმოების ხელშეკრულებების მიხედვით, კომპანია ითვალისწინებს ელექტროენერგიის გადაცემას თითოეული ხელშეკრულების საფუძველზე, როგორც ერთ შესასრულებელ ვალდებულებას ფასს 15-ის 22(ბ) მუხლის თანახმად, ვინაიდან იგი სწევს რამდენიმე მკაფიო მომსახურებას, რომლებიც თითქმის ერთნაირია და გადასცემს მას მყიდველს ერთი და იმავე სქემის მიხედვით (ელექტროენერგია მყიდველებს მიეწოდება პერიოდის განმავლობაში (ყოველთვიურად) და ერთიანი მეთოდი გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების შესაფასებლად ელექტროენერგიის მიწოდების დროის მიხედვით). ამრიგად, ელექტროენერგიის გაყიდვის და განაწილების თითოეული ცალკეული ხელშეკრულება შეიცავს ერთ შესასრულებელ ვალდებულებას.

შესასრულებელი ვალდებულების განსაზღვრა – ვრცელდება კომპანიის ამონაგების ნაკადებზე 2021 წლის 1 ივლისის შემდეგ

2021 წლის 1 ივლისიდან კომპანიას აქვს ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე დედაქალაქ თბილისისა და იმ რეგიონების გარდა, რომლებსაც საქართველოს მთავრობა დროებით არ აკონტროლებს. სადაც კომპანია მოქმედებს, როგორც ელექტროენერგიის გამანაწილებელი, მას აქვს ერთი შესასრულებელი ვალდებულება, რაც არის საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მიწოდება კომპანიის ქსელის მეშვეობით.

გარიგების ფასის განსაზღვრა

გარიგების ფასი არის თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ, დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით. გარიგების ფასის განსაზღვრისას საწარმო ითვალისწინებს წარსულში განხორციელებულ ჩვეულ ბიზნესპრაქტიკას.

ამონაგების სავარაუდო ოდენობა შეიძლება ნაკლები იყოს ხელშეკრულებაში მითითებულ ფასზე, რადგან კომპანიამ გადაწყვიტოს, რომ მას შეუძლია მყიდველების გარკვეული ჯგუფებისთვის ფასდათმობის შეთავაზება. მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით ანაზღაურების საეჭვო ნაწილი კომპანიის მიერ მიიჩნევა ფასდათმობად. ფასდათმობის შესაბამისი მომხმარებლების იდენტიფიცირება ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ს) ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე ხელშეკრულებებში – ვრცელდება კომპანიის ამონაგების ნაკადებზე 2021 წლის 1 ივლისამდე

ფასის განაწილების მიზანია გარიგების ფასის გადანაწილება თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე იმ ოდენობით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებული საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის გადაცემის სანაცვლოდ.

კომპანია არ ანაწილებს გარიგების ფასს შესასრულებელ ვალდებულებებზე და არ განსაზღვრავს ფასს თითოეული პროდუქტის ან მომსახურების ცალკეულ გაყიდვაზე, ვინაიდან, კომპანიის პრაქტიკის მიხედვით, თითოეული ხელშეკრულება შეიცავს ერთ შესასრულებელ ვალდებულებას.

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე ხელშეკრულებებში – ვრცელდება ჯგუფის ამონაგების ნაკადებზე 2021 წლის 1 ივლისის შემდეგ

2021 წლის 1 ივლისის შემდეგ, ელექტროენერგიის განაწილების ხელშეკრულებების თანახმად, კომპანიას აქვს ერთი შესასრულებელი ვალდებულება, რაც წარმოადგენს ელექტროენერგიის განაწილებას საბოლოო მომხმარებლებზე თავისი განაწილების ქსელის მეშვეობით.

ამრიგად, კომპანია არ ანაწილებს გარიგების ფასს შესასრულებელ ვალდებულებებზე და არ განსაზღვრავს ფასს თითოეული პროდუქტის ან მომსახურების ცალკეულ გაყიდვაზე, ვინაიდან, კომპანიის პრაქტიკის მიხედვით, თითოეული ხელშეკრულება შეიცავს ერთ შესასრულებელ ვალდებულებას.

ამონაგების აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) საწარმო აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას – ვრცელდება კომპანიის ამონაგების ნაკადებზე 2021 წლის 1 ივლისამდე

ამონაგების აღიარება ხდება კონტროლის გადაცემისას ან დროთა განმავლობაში, ან დროის გარკვეულ მომენტში. საწარმო ამონაგებს აღიარებს მრიცხველის ჩვენების დაახლოებით ერთთვიანი პერიოდის განმავლობაში, მომხმარებელი პარალელურად იღებს და მოიხმარს საწარმოს მიერ მიწოდებულ ყველა სარგებელს. კომპანია გადასცემს კონტროლს ელექტროენერგიაზე პერიოდის განმავლობაში და, შესაბამისად, ასრულებს შესასრულებელ ვალდებულებას და აღიარებს ამონაგებს ამ პერიოდში.

ელექტროენერგიის რეალიზაციის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ყოველთვიურად, მომხმარებელთა მიერ ელექტროენერგიის მრიცხველით აღრიცხული მოხმარების საფუძველზე, და გამოითვლება სემეკის მიერ დადგენილი ტარიფების გამოყენებით. ელექტროენერგიის განაწილების, გადაცემის და მიწოდების ტარიფებს განსაზღვრავს სემეკი.

ელექტროენერგიის საექსპორტო გაყიდვა ან განაწილება აღიარდება ელექტროენერგიის გამრიცხველიანებული გადაცემის საფუძველზე და გამოითვლება სახელშეკრულებო ტარიფების ან სემეკის მიერ განსაზღვრული ტარიფების გამოყენებით.

კომპანია სახელშეკრულებო მოვალეობას შემდეგი შეთავაზებებისთვის აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, რადგან თითოეულ შეთავაზებაში მხოლოდ ერთი სახელშეკრულებო მოვალეობაა:

- ▶ ქსელთან მიერთების საფასური შედგება მომხმარებლებზე დაკისრებული გადასახადისგან და მისი აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, ელექტროენერგეტიკულ სისტემაზე თავდაპირველი მიერთების მომენტში. ქსელთან მიერთების დრო და ტარიფები ფიქსირებულია და განისაზღვრება სემეკის მიერ;
- ▶ შემოსავალი მომსახურებიდან, რომელსაც იხდიან მომხმარებლების ქსელის შეკეთებასა და მოთხოვნილი სიმძლავრის მიწოდებაში, აღიარებულია დროის გარკვეულ მომენტში, მომსახურების სრულად მიწოდების შემდეგ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ს) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

ამონაგების აღიარება, როდესაც (ან როგორც კი) საწარმო აკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას – ვრცელდება ჯგუფის ამონაგების ნაკადებზე 2021 წლის 1 ივლისის შემდეგ

ელექტროენერგიის განაწილებიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მრიცხველის ჩვენებიდან დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში საბოლოო მომხმარებლების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე და სემეკის მიერ დამტკიცებული ტარიფების შესაბამისად. ელექტროენერგიის ბაზარზე საბოლოო მომხმარებლები ორ მთავარ ტიპად იყოფიან:

- (ა) პირდაპირი მომხმარებლები ელექტროენერგიას ყიდულობენ პირდაპირ ელექტროსადგურებიდან. კომპანია პირდაპირი მომხმარებლებისთვის გამოწერს ქვითრებს და ამონაგებს აღიარებს მრიცხველის ჩვენების მიხედვით ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე.
- (ბ) მომხმარებლები, რომლებსაც უფლება აქვთ ელექტროენერგია მიიღონ უნივერსალური მომსახურების, საჯარო მომსახურების და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლებისგან რეგულირებული პირობებით (მაგ. საყოფაცხოვრებო მომხმარებლები, საჯარო ორგანიზაციები და მცირე საწარმოები). ასეთ შემთხვევაში კომპანია განაწილების ტარიფს იღებს ელექტროენერგიის მიმწოდებლისგან და ამონაგებს აღიარებს საბოლოო მომხმარებლების შეფასების პერიოდის განმავლობაში მოხმარებული ელექტროენერგიის მოცულობის საფუძველზე.

(ტ) სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. სხვა შემოსავალში შედის ყველა სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც არ უკავშირდება პროდუქტების ან მომსახურების გაყიდვას, მაგალითად, მარაგების და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციით გამოვლენილი ზედმეტობა, შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან, იჯარიდან, მესამე მხარეებისგან მიღებული აქტივები და ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა, შემოსავალი დაზღვევიდან და სხვა.

სადაზღვევო შემოსავლის აღიარება ხდება სადაზღვევო კომპანიისგან ზიანის ანაზღაურების დასტურის მოპოვების შემდეგ, დროის გარკვეულ მომენტში. გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც აქტივზე კონტროლი და მასთან დაკავშირებული რისკები გადაეცემა მომხმარებელს. საიჯარო შემოსავლის აღიარება ხდება დროის იმ მომენტში, როდესაც მომხმარებელს მიეწოდება მომსახურება, რადგან ამ დროს მომხმარებელი სარგებლობს კომპანიის მომსახურებით. შემოსავალი მესამე მხარეებისგან მიღებული აქტივებისგან, მარაგების და ძირითადი საშუალებების ნამეტი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც აქტივები გადაიცემა ან ნამეტი განისაზღვრება. შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც კომპანიას უფლება ეძლევა მიიღოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჯარიმები.

(უ) მომხმარებლებისგან უსასყიდლოდ გადმოცემული აქტივების მონაწილეობით ოპერაციებიდან მიღებული ამონაგები

როდესაც კომპანია მომხმარებლებისგან იღებს ძირითადი საშუალებების ერთეულს, იგი ჯერ აფასებს, აკმაყოფილებს თუ არა გადმოცემული ერთეულის აქტივის განსაზღვრებას. თუ კომპანია დაასკვნის, რომ აქტივის განსაზღვრება დაკმაყოფილებულია, იგი გადმოცემულ აქტივს ძირითადი საშუალებების ერთეულად აღიარებს, საწყისი აღიარებისას მის ღირებულებას აფასებს სამართლიანი ღირებულებით და ამონაგებს აღიარებს ფასს 15-ის „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ შესაბამისად.

(ფ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ფ) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად (გაგრძელება)

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ქ) შეწყვეტილი ოპერაციები

შეწყვეტილი ოპერაცია არის საწარმოს კომპონენტი, რომელიც ან გასხვისებულია, ან კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად გამიზნული და:

- (ა) წარმოადგენს განცალკევებულ ძირითად საქმიანობას ან საქმიანობის გეოგრაფიულ არეალს;
- (ბ) არის განცალკევებული ძირითადი საქმიანობის ან გეოგრაფიული არეალის საქმიანობის გასხვისების ერთიანი კოორდინირებული გეგმის ნაწილი; ან
- (გ) არის შვილობილი საწარმო, რომელიც შექმნილია მხოლოდ და მხოლოდ გადაყიდვის მიზნით.

შეწყვეტილი ოპერაციები არ აისახება განგრძობითი ოპერაციების შედეგებში და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც შეწყვეტილი ოპერაციებიდან წმინდა მოგების ან ზარალის ერთიანი თანხა. შეწყვეტილი ოპერაციები მოიცავს ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებულ ამონაგებს და ხარჯებს.

დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია მე-8 შენიშვნაში. ფინანსური ანგარიშგების ყველა სხვა განმარტებითი შენიშვნა მოიცავს განგრძობითი ოპერაციების თანხებს, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

5. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

ქვემოთ ჩამოთვლილ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც კომპანიის საქმიანობისთვის აქტუალურია და 2022 წლის 1 იანვრისთვის შევიდა ძალაში, გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან საქმიანობის შედეგებზე:

- ▶ „კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – შესწორებები ფასს 3-ში
- ▶ ძირითადი საშუალებები: შემოსულობა მიზნობრივ გამოყენებამდე – ცვლილებები ბასს 16-ში
- ▶ „წაგებიანი ხელშეკრულებები – ხელშეკრულების შესრულების ხარჯები“ – შესწორებები ბასს (IAS) 37-ში

5. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია (გაგრძელება)

- ▶ ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ – შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს–ს
- ▶ ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ – ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები

ამ ცვლილებებს გავლენა არ მოუხდენია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია აპირებს გამარტივებული მიდგომის გამოყენებას მომავალ პერიოდებზე, თუ ისინი ძალაში შევა.

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 17), ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს. როდესაც ძალაში შევა:

ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 4) რომელიც გამოიცა 2005 წელს. ფასს 17 ეხება ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებას (მაგ. სიცოცხლის, არასიცოცხლის, პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა), განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპი საწარმო აფორმებს მათ, ასევე გარკვეულ გარანტიებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს დისკრეციული მონაწილეობის პარამეტრებით.

მის მოქმედების არეალში არ შედის გარკვეული გამონაკლისები. ფასს 17-ის ზოგადი მიზანია სააღრიცხვო მოდელის შექმნა სადაზღვევო ხელშეკრულებები, რომელიც უფრო სასარგებლო და თანმიმდევრული იქნება მზღვევლებისთვის. ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებიდანაც მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის ყველა შესაბამის ასპექტს მოიცავს. ფასს 17 წარმოადგენს ზოგად მოდელს, რომელსაც ახლავს:

- ▶ ისეთი ხელშეკრულებების სპეციფიკის გათვალისწინება, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები (ცვალებადი საზღაურის მიდგომა)
- ▶ ფასს 17-ის მიხედვით, გამარტივებული მიდგომა (პრემიის განაწილების მიდგომა), ძირითადად მოკლევადიანი ხელშეკრულებებისთვის, ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და მოსთხოვს შესადარის მონაცემებს. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს. ეს სტანდარტი კომპანიას არ ეხება.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

2020 წლის 1 იანვარს ბასსს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- ▶ რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას
- ▶ რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებულ ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე

5. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მათი გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად. კომპანია ამ ეტაპზე აფასებს ცვლილებების ეფექტს მის მიმდინარე პრაქტიკაზე და იმას, არსებული სესხები საჭიროებს თუ არა რესტრუქტურირებას.

სააღრიცხვო შეფასებების განმარტება – ბასს 8-ის შესწორებები

2021 წლის თებერვალში ბასს-მა გამოუშვა ბასს 8-ის შესწორებები, რომლებშიც წარმოადგინა „სააღრიცხვო შეფასებების“ განმარტება. შესწორებები განმარტავს განსხვავებას სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებსა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებს შორის და შეცდომების გასწორებას.

გარდა ამისა, იგი ასევე განმარტავს, როგორ იყენებენ საწარმოები შეფასების ხერხებს და ამოსავალ მონაცემებს სააღრიცხვო შეფასებების მისაღებად.

ცვლილებები ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და ვრცელდება სააღრიცხვო პოლიტიკისა და სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებზე, რომლებიც დგება ამ პერიოდის საწყისი თარიღით ან მის შემდგომ. დაშვებულია ვადაზე ადრე გამოყენება, თუ ეს ფაქტი გაცხადდება.

ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებითი შენიშვნები – შესწორებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაცია

2021 წლის თებერვალში ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკული რეკომენდაცია „არსებობის განსჯა“, რომლებიც შეიცავს მითითებებსა და მაგალითებს, რათა დაეხმაროს საწარმოებს სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებების არსებობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში. შესწორებების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შეახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

ბასს 1-ში შესული ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. ვინაიდან ცვლილებები მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციაში შეიცავს არასავალდებულო მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციაში ტერმინის „არსებობის“ განმარტების გამოყენების თაობაზე, მათი ძალაში შესვლის თარიღი არ არის საჭირო.

კომპანია ამჟამად არის თავისი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის გაცხადების გადასინჯვის პროცესში, რათა უზრუნველყოს მისი შესაბამისობა განახლებულ მოთხოვნებთან.

ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი – ცვლილებები ბასს 12-ში

2021 წლის მაისში საბჭომ გამოუშვა ბასს 12-ის ცვლილებები, რომლებითაც დავიწროვდა ბასს 12-ის მიხედვით საწყისი აღიარებიდან გამოწვევის არეალი ისე, რომ იგი აღარ ვრცელდება იმ გარიგებებზე, რომლებიც განაცხადითაა დასაბუთებული და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები.

5. ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ახალი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ცვლილება უნდა გავრცელდეს იმ გარიგებებზე, რომლებიც დგება წარმოდგენილი უადრესი შესადარისი პერიოდის დაწყების თარიღით ან მის შემდეგ. გარდა ამისა, წარმოდგენილი უახლესი შესადარისი პერიოდის დასაწყისში გადავადებული საგადასახადო აქტივი (იმ პირობით, რომ საკმარისი დასაბეგრი მოგება არსებობს) და გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ასევე უნდა იქნეს აღიარებული ყველა გამოსაქვითი და დასაბეგრი დროებითი სხვაობისთვის, რომლებიც უკავშირდება იჯარებს და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებებს.

კომპანია ამჟამად აფასებს ამ ცვლილებების შესაძლო გავლენას.

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების გაცხადებულ ოდენობებზე და ასევე პირობითი ვალდებულებების შესახებ განმარტებებზე. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

(ა) მოსაზრებები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები, რომლებიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე.

(i) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების საწყისი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულებით უნდა მოხდეს. თუ გარკვეული ოპერაციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, ხელმძღვანელობა თავად განსჯის, ეს ოპერაციები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით არის განფასებული თუ არასაბაზროთი. განსჯისას ხელმძღვანელობა ეყრდნობა დაუკავშირებელ (მისგან დამოუკიდებელ) მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

(ii) საიჯარო ხელშეკრულებების ვადის განსაზღვრა ვადის განახლების და შეწყვეტის ოფციონის გათვალისწინებით – კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას იმ ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის გახანგრძლივების ოფციონი, თუ არსებობს ამ ოფციონის აღსრულების გონივრული რწმენა, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომელსაც მოიცავს იჯარის შეწყვეტის ოფციონი, თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ მისი აღსრულება არ მოხდება.

კომპანიას გაფორმებული აქვს რამდენიმე საიჯარო ხელშეკრულება, რომლებიც შეიცავს ვადის გაგრძელების და შეწყვეტის ოფციონს. კომპანია განსჯაზე დაყრდნობით აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ საიჯარო ხელშეკრულების განახლების ან შეწყვეტის ოფციონი აღსრულდება. ანუ, იგი ითვალისწინებს ყველა შესაბამის ფაქტორს, რომლებიც მისთვის ქმნიან ხელშეკრულების განახლების ან შეწყვეტის ოფციონის აღსრულების ეკონომიკურ სტიმულს. იჯარის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია თავიდან აფასებს იჯარის ვადას, თუ არსებობს მნიშვნელოვანი მოვლენა ან ცვლილება გარემოებებში, რომელიც კონტროლირებადია და უარყოფითად მოქმედებს მის უნარზე, ადასრულოს ან არ ადასრულოს ხელშეკრულების განახლების ან შეწყვეტის ოფციონი (მაგ. საიჯარო ქონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ან საიჯარო აქტივის მნიშვნელოვნად შეცვლა).

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ა) მოსაზრებები (გაგრძელება)

(iii) დროითი სხვაობები

ელექტროენერგიის გაყიდვის, ელექტროენერგიის განაწილებიდან მიღებული ამონაგების და ქსელური დანაკარგების ასანაზღაურებლად შესყიდული ელექტროენერგიის აღიარება ხდება საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო

სექტორების მომხმარებელთა მიერ ელექტროენერგიის მრიცხველით აღრიცხული მოხმარების საფუძველზე. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ანგარიშგების ნებისმიერი თარიღისათვის არსებობს მიწოდებული ელექტროენერგია, რომლისთვისაც ჯერ არ არის წარდგენილი მრიცხველის ამონაწერი მომხმარებლებისთვის. ისეთი ამონაგების გაანგარიშება, რომლებიც კომპანიამ გამოიმუშავა, მაგრამ მათზე ქვითრები ჯერ არ წარუდგენია, დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ აფასებს ხელმძღვანელობა განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობას, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ტექნიკურ დანაკარგებს ანგარიშგების თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ სხვაობა ფაქტობრივ და სავარაუდო ამონაგებს შორის, რომელზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, და შესყიდული ტექნიკური დანაკარგების ხარჯი არაარსებითია.

(iv) ელექტროენერგიის მიწოდების კლასიფიცირება შეწყვეტილ ოპერაციებად

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ ახალი კანონისა და „გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის განცალკევების წესების“ მოთხოვნების თანახმად, კომპანიამ 2021 წლის 16 აპრილს დაასრულა სამართლებრივი განცალკევების მეორე ეტაპი, რის შედეგადაც მისი განაწილების ოპერაციები გაიმიჯნა მისი მიწოდების და სხვა კონკურენტული ენერგოაქტივობებისგან, რაც ძალაში შედის 2021 წლის 1 ივლისს. ამ თარიღამდე მიწოდების საქმიანობას ახორციელებდა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი. ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ელექტროენერგიის მიწოდების საქმიანობის შეწყვეტა აკმაყოფილებს შეწყვეტილი ოპერაციების განმარტებას ფასს 5-ის „გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები“ მიხედვით, რადგან ის წარმოადგენს ბიზნესის განცალკევებულ მსხვილ მიმართულებას და შეადგენდა კომპანიის ამონაგების, საოპერაციო ხარჯებისა და ფულადი ნაკადების უდიდეს ნაწილს. (მე-8 შენიშვნა).

შეწყვეტილი ოპერაციების შედეგები წარმოდგენილია ცალკე მუხლის სახით კომპანიის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. მიწოდების სეგმენტის კლასიფიკაცია შეწყვეტილ ოპერაციად ფასს 5-ის მიხედვით, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯის გამოყენებას, რათა განსაზღვროს და გამოიჯნოს ფინანსური ეფექტები განგრძობითი და შეწყვეტილი ოპერაციებიდან, ასევე შეაფასოს, დაკმაყოფილებულია თუ არა ფასს-ის კრიტერიუმები შეწყვეტილი ოპერაციების აღრიცხვასთან დაკავშირებით. ინფორმაცია კომპანიის შეწყვეტილი ოპერაციების შესახებ წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების 1 და მე-8 შენიშვნებში.

(ბ) შეფასებები და დაშვებები

(i) ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულებების შეფასება

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი კორექტირების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით გაკეთებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში მომხდარი ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც კომპანიის კონტროლს არ ექვემდებარება. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

ფასს 9-ის მიხედვით, ფინანსური გარანტიის ხელშეკრულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ ფასდება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ყველაზე მაღალი ოდენობით: (ა) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის ოდენობა; (ბ) თავდაპირველად აღიარებული თანხა, მინუს შემოსავლის კუმულაციური ოდენობა. გაცემული ფინანსური გარანტიის საწყისი სამართლიანი ღირებულება შეფასდა წლიური გარანტიის საკომისიოს პროგნოზის საფუძველზე, რომელსაც გადაიხდიდა მესამე მხარე „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“ შესრულებული ოპერაციის შემთხვევაში. 2019 წელს გაცემული ფინანსური გარანტიის ღირებულება განაწილდა ოთხ გარანტორ კომპანიაზე (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები), 2015-2017 წლებში ამ კომპანიების საშუალო EBITDA-ს (შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის

6. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

(ბ) შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

დარიცხვამდე) მიხედვით. 2022 წელს გაცემული ფინანსური გარანტიის ღირებულება განაწილდა შვიდ გარანტორ კომპანიაზე (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები), ამ კომპანიების 2022 წლისთვის ბიუჯეტირებული EBITDA-ს (შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე) მიხედვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, შესაბამისი სავალი ინსტრუმენტების 12-თვიანი დეფოლტის ალბათობის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულება, შემცირებული აღიარებული შემოსავლის კუმულაციური ოდენობით, 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აღემატებოდა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (მე-17 შენიშვნა).

(ii) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა განსჯის საგანია, მსგავსი აქტივებისგან მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამ აქტივებში ჩართული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარება, მეტწილად, მათი ექსპლუატაციით ხდება. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ფიზიკური ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში ჩართული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადებს აფასებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობაზე და იმ სავარაუდო პერიოდზე დაყრდნობით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია აქტივისგან სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. შემდეგი ძირითადი ფაქტორების გათვალისწინება ხდება: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური ან კომერციული მოძველება საბაზრო პირობების ცვლილების გამო.

(iii) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის აფასებს, არსებობს თუ არა ფინანსური აქტივის გადაუხდელობის ობიექტური მტკიცებულება. კომპანია აღიარებს ზარალს რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უკავშირდება ინდივიდუალურად შეფასებულ მოთხოვნებს (მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია იგი, თუ არა), ის ამ მოთხოვნებს შეიყვანს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე მოთხოვნების ჯგუფში და კოლექტიურად შეაფასებს მათ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამოღების ისტორიული მაჩვენებლების საფუძველზე, რომლებსაც დააკორექტირებს საპროგნოზო ინფორმაციის მიხედვით.

ხელმძღვანელობის შეფასებით, 3,746 ლარის (2021 წ.: 6,060 ლარი) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი ყველაზე ზუსტად ასახავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის შექმნილ შესაძლო რეზერვს (მე-12 შენიშვნა).

(iv) შრომითი დანახარჯების კაპიტალიზაცია

ხელფასები, რომლებიც კაპიტალიზაციას ექვემდებარება, მოიცავს იმ დასაქმებულების და განყოფილებების შრომით დანახარჯებს, რომლებმაც წვლილი შეიტანეს კაპიტალური პროექტების დასრულებაში. სახელფასო დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი კაპიტალური პროექტებისთვის, ნაწილდება პროექტზე პროპორციული წესით, მაგალითად, ფაქტობრივი საათების ოდენობით, რომლებიც დაიხარჯა პროექტზე და ასახულია სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელში. დასაქმებულთა ხელფასები, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ზედამხედველობის და სხვა ზედნადები ხარჯის ტიპის ფუნქციებზე ნაწილდება მთლიანი ხელფასებიდან განსაზღვრული პროპორციების საფუძველზე. ეს პროპორციები განისაზღვრა ამ განყოფილებების და თანამშრომლების სამუშაო განრიგების საფუძველზე და ასახულია კაპიტალიზაციის პოლიტიკაში.

2022 წელს მთლიანად კაპიტალიზებული ხელფასები გაუტოლდა 17,156 ლარს (2021 წ.: 18,030 ლარი).

7. გარიგებები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებულ მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

2022 და 2021 წლებში კომპანიას ჰქონდა დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები შემდეგ სამეურნეო სუბიექტებთან:

დაკავშირებული მხარის სახელწოდება	ქვეყანა	ურთიერთობა
„ენერგო პრო ეი. ეს.“	ჩეხეთის რესპუბლიკა	მშობელი საწარმო
სს „ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი“	საქართველო	უშუალო მშობელი საწარმო
		შვილობილი საწარმო 2021 წლის 12 აპრილამდე, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო შემდგომში
შპს „ჯიფაუერი“	საქართველო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
მეგავატ სერვისი s.r.o.	ჩეხეთის რესპუბლიკა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
MEGAWATT SERVIS-ის წარმომადგენლობა	საქართველო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
Electrodistribution North AD	ბულგარეთი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
სს „ოპპა“	საქართველო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“	საქართველო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო
სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“	საქართველო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

	უშუალო მშობელი საწარმო	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	–	21,213	–
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	–	666	35,872
ნასესხები სახსრები (მე-16 შენიშვნა)	–	–	1,948
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	795	–	856
იგაცემული სესხები	–	33,786	–
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	–	–	5
სახელშეკრულებო ვალდებულებები (მე-19 შენიშვნა)	–	–	39,715

7. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

გარიგებები, მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასე გამოიყურება:

	უშუალო მშობელი საწარმო	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
მარაგებისა და აღჭურვილობის შეძენა	–	64,098	275
ელექტროენერგიის განაწილება	–	–	394,004
ფინანსური შემოსავალი (26-ე შენიშვნა)	–	816	47
სხვა შემოსავალი	1,878	–	673
ფინანსური დანახარჯები	–	110	744
სხვა საოპერაციო ხარჯები	–	27	49
კონსულტაციის გასამრჯელო (ა)	–	–	3,424
მომსახურების ხარჯები	18,564	–	1,203

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები ასე გამოიყურებოდა:

	უშუალო მშობელი საწარმო	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	–	12,210	–
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	161	410	42,175
ნასესხები სახსრები (მე-16 შენიშვნა)	–	6,391	11,910
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,651	–	2,542
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	–	–	19
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	–	–	800
სახელშეკრულებო ვალდებულებები (მე-19 შენიშვნა)	–	–	39,715

გარიგებები, მოგებისა და ხარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ასე გამოიყურება:

	უშუალო მშობელი საწარმო	მშობელი საწარმო	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	შვილობილი საწარმოები
მარაგებისა და აღჭურვილობის შეძენა	–	42,056	2,271	–
ელექტროენერგიის განაწილება	–	–	195,299	–
ფინანსური შემოსავალი (26-ე შენიშვნა)	–	–	–	211
სხვა შემოსავალი	588	–	760	95
შესყიდული ენერგია	–	–	29,109	1,762
ფინანსური დანახარჯები	–	595	1,042	125
სხვა საოპერაციო ხარჯები	–	67	18	–
კონსულტაციის გასამრჯელო (ა)	–	–	4,028	–
მომსახურების ხარჯები	9,282	–	210	–

- (ა) კონსულტაციის გასამრჯელო გადაიხდება შესყიდვების მართვისთვის, განაწილების ქსელის შექმნისთვის, ტექნიკური მხარდაჭერისთვის, ინფრასტრუქტურული პროექტების ფინანსური მართვისთვის და სხვა მართვის, ზედამხედველობის და კონსულტაციის მომსახურებისთვის, რომელსაც გასწევს „მეგავატ სერვის ს.რ.ო.-ს“ წარმომადგენლობა საქართველოში.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

7. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება:

	2022	2021
მოკლევადიანი სარგებელი		
- ხელფასები	1,275	2,080
- პრემიები	103	335
სულ	1,378	2,415

წამყვანი ხელმძღვანელი პირები არიან გენერალური დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილეები, გენერალური დირექტორის კონსულტანტები, დეპარტამენტების უფროსები და ფილიალების დირექტორები.

8. შეწყვეტილი ოპერაციები

	2021
ამონაგები ელექტროენერგიის მიწოდებიდან	268,146
შესყიდული ელექტროენერგია	(261,374)
მომსახურების ხარჯები (ა)	1,217
ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	7,989

(ა) მომსახურების ხარჯები მოიცავს კომუნალურ ხარჯებში საკუთარი ელექტროენერგიის მოხმარების ღირებულებას.

9. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების მოძრაობა ასეთია:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ტექნიკური აღჭურ- ვილობა და მანქანა- დანადგარები	სხვა აღჭურ- ვილობა, ავიჯი და მოწყობი- ლობები	დაუმთავ- რებელი მშენებლობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება						
1 იანვარი, 2021 წ.	36,808	757,505	44,810	36,795	2,745	878,663
შემოსვლები	2,513	1,518	4,909	95,907	–	104,847
გასვლები	(1)	–	(259)	–	(50)	(310)
შიდა გადაცემა	446	79,155	3,028	(82,633)	4	–
რეკლასიფიკაცია	6,079	(8,078)	(151)	1,430	720	–
31 დეკემბერი, 2021 წ.	45,845	830,100	52,337	51,499	3,419	983,200
შემოსვლები	395	216	9,890	180,491	4,099	195,091
გასვლები	(2)	(1,469)	(1,443)	–	–	(2,914)
შიდა გადაცემა	2,158	152,888	3,413	(162,413)	3,954	–
31 დეკემბერი, 2022 წ.	48,396	981,735	64,197	69,577	11,472	1,175,377
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი, 2021 წ.	(3,590)	(262,796)	(24,817)	–	(635)	(291,838)
ცვეთის ხარჯი	(563)	(43,847)	(5,020)	–	(184)	(49,614)
ჩამოწერისას	–	–	250	–	–	250
ელიმინირებული	(1,568)	651	1,019	–	(102)	–
31 დეკემბერი, 2021 წ.	(5,721)	(305,992)	(28,568)	–	(921)	(341,202)
ცვეთის ხარჯი	(574)	(48,949)	(5,805)	–	(378)	(55,706)
ჩამოწერისას	–	1	918	–	–	919
31 დეკემბერი, 2022 წ.	(6,295)	(354,940)	(33,455)	–	(1,299)	(395,989)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2021 წ.	40,124	524,108	23,769	51,499	2,498	641,998
31 დეკემბერი, 2022 წ.	42,101	626,795	30,742	69,577	10,173	779,388

დაუმთავრებელი მშენებლობა, ძირითადად, შედგება ელექტროქსელის რეაბილიტაციისა და დაუმონტაჟებელი მოწყობილობებისგან. დაუმონტაჟებელი მოწყობილობა წარმოადგენს აღჭურვილობას და მასალებს, რომლებიც ჯერ ექსპლუატაციაში არ არის მიღებული. დამონტაჟების დასრულების შემდეგ აქტივები გადადის ტექნიკურ აღჭურვილობასა და დანადგარებში.

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სრულად გაცვეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში მყოფი ძირითადი საშუალებების მთლიანი საბალანსო ღირებულება, შესაბამისად, დაახლოებით 17,611 ლარს და 7,034 ლარს შეადგენდა.

კაპიტალური დაზანდების ვალდებულება

ხელშეკრულებით განპირობებული მნიშვნელოვანი კაპიტალური დანახარჯები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებების სახით, გაუტოლდა 2,910 ევროს (2021 წ.: 7,574 ევრო), 86 აშშ დოლარს (2021 წ.: 1,438 აშშ დოლარი) და 7,185 ლარს (2021 წ.: 13,247 ლარი).

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

10. აქტივის გამოყენების უფლება

ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლებების აღიარებული საბალანსო ღირებულებები და მათი მოძრაობა პერიოდის განმავლობაში:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ქსელი	სულ
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,368	14	1,382
შემოსვლები	553	214	767
გასვლა – მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება	(121)	–	(121)
გასვლა – დაგროვილი ცვეთა	108	–	108
ცვეთის ხარჯი	(677)	(51)	(728)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,231	177	1,408
შემოსვლები	2,185	–	2,185
გასვლა – მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება	(674)	–	(674)
გასვლა – დაგროვილი ცვეთა	588	–	588
ცვეთის ხარჯი	(980)	(39)	(1,019)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2,350	138	2,488

11. მარაგები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
საპოხ-საცხები მასალები	1,486	398
კომბინეზონები და სპეცტანსაცმელი	860	474
ხელსაწყოები და ჭანჭიკები	531	4,504
ჯართი და დაზიანებული ინვენტარი (ა)	439	455
ელექტროაღჭურვილობა	352	3,658
სათადარიგო ნაწილები	180	158
მრიცხველების დამონტაჟებასთან დაკავშირებული ინვენტარი	160	269
მრიცხველები, კარადები და საკეტები	67	472
ბომბები	43	921
კაბელები და მავთულები	34	6,486
სხვა	1,853	1,971
მარაგები, სულ	6,005	19,766

- (ა) ჯართი და დაზიანებული ინვენტარი შედგება ინვენტარის ისეთი ერთეულებისგან, როგორიცაა სამუშაო ინსტრუმენტები და ჭანჭიკები, ელექტროაღჭურვილობა, რომელსაც დამატებითი სარემონტო სამუშაოები სჭირდება გამოსადეგად ვარგის მდგომარეობაში მოსაყვანად. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასეთი მარაგები ჩამოიწერება არსებულ მდგომარეობაში მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე.

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
განაწილება კომერციულ და საჯარო სექტორზე (ა)	790	1,156
განაწილება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე (ა)	720	940
განაწილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (გ)	42,013	45,707
სხვა (ბ)	11,897	14,837
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(3,746)	(6,060)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	51,674	56,580

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

- (ა) განაწილება კომერციულ და საჯარო სექტორებზე და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე მოიცავს ვადაგადაცილებულ სავაჭრო მოთხოვნებს აბონენტების მიმართ, რომლებიც წარმოიქმნა განცალკევებამდე. მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად არის გაუფასურებული.
- (ბ) სხვა მოთხოვნებში შედის ქსელის აღდგენისა და მოთხოვნილი სიმძლავრის მიწოდების მომსახურებასთან დაკავშირებული 5,698 ლარის მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წლის 31 დეკემბერი: 4,683 ლარი). აღნიშნული მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილი 2,657 ლარის ოდენობით ასახულია გრძელვადიან ფინანსურ აქტივებში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2021 წლის 31 დეკემბერი: 6,241 ლარი).
- (გ) 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მოთხოვნები დისტრიბუციიდან მოიცავს პირდაპირი მომხმარებლებისთვის და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსთვის, სს „ეპ ჯორჯია მიწოდებისთვის“, სადისტრიბუციო მომსახურების გაწევის შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებს, რომელიც კომპანიას გასამრჯელოს უხდის საბოლოო მომხმარებლებისთვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად მისი ქსელის გამოყენებისთვის.

კრედიტით გაყიდვების შემთხვევაში, გადახდის საშუალო ვადა 15-20 დღეა. ვადაგადაცილებულ სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნების ზარალის რეზერვს ყოველთვის აფასებს მათი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხის ოდენობით. სავაჭრო მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები ფასდება დარეზერვების მატრიცის გამოყენებით, დებიტორის დეფოლტის ისტორიაზე დაყრდნობით და დებიტორის ამჟამინდელი ფინანსური მდგომარეობის გაანალიზებით.

კომპანია სავაჭრო მოთხოვნებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც შემდეგი ორი შემთხვევიდან რომელიმე დადგება: როდესაც გარკვეული ინფორმაცია მიანიშნებს დებიტორის მწვავე ფინანსურ სირთულეებზე და დავალიანების ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, მაგალითად, მიმდინარეობს დებიტორის ლიკვიდაცია ან დაწყებულია გაკოტრების საქმის წარმოება. ჩამოწერილი სავაჭრო მოთხოვნებიდან არცერთი არ ექვემდებარება იძულებითი აღსრულების ღონისძიებებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრაობა:

	2022	2021
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	6,060	9,582
წლის დამატებითი დანარიცხები/(აღდგენები)	(1,265)	2,823
ჩამოწერები	(1,049)	(6,345)
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,746	6,060

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 6,350 ლარის საექსპორტო გაყიდვებთან დაკავშირებულ სავაჭრო მოთხოვნებზე სრულად იყო გაუფასურების რეზერვი შექმნილი. 2021 წელს საექსპორტო გაყიდვებთან დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნები, 6,345 ლარის ოდენობით, ჩაითვალა უიმედოდ და ჩამოიწერა.

ანალიზი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადების მიხედვით ასეთია:

	ვადაგა- დაუცი- ლებელი	30 დღემდე ვადაგადა- ცილებული	30-დან 90 დღემდე ვადაგადა- ცილებული	91-დან 180 დღემდე ვადაგადა- ცილებული	180-ზე მეტი დღით ვადაგადა- ცილებული	სულ
31 დეკემბერი, 2022 წ.						
დეფოლტის დროს						
მოსალოდნელი მთლიანი						
საბალანსო ღირებულება, სულ	51,614	1,821	1,052	676	2,914	58,077
მოსალოდნელი ზარალის დონე	0.3%	5.7%	20.9%	100%	88.4%	
არსებობის მანძილზე						
მოსალოდნელი საკრედიტო						
ზარალი	(172)	(103)	(220)	(676)	(2,575)	(3,746)

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2021 წ.	ვადაგა- დაუცი- ლებელი	30 დღემდე ვადაგადა- ცილებული	30-დან 90 დღემდე ვადაგადა- ცილებული	91-დან 180 დღემდე ვადაგადა- ცილებული	180-ზე მეტი დღით ვადაგადა- ცილებული	სულ
დეფოლტის დროს მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება, სულ	58,927	1,040	1,599	1,280	6,035	68,881
მოსალოდნელი ზარალის დონე	0.1%	4.9%	12.3%	99.0%	74.4%	
არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(58)	(51)	(197)	(1,265)	(4,489)	(6,060)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 180-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული მოთხოვნები 339 ლარის ოდენობით მთლიანად საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე მოდის (2021 წლის 31 დეკემბერი: 410 ლარი). ვადაგადაცილებული ნაშთების დაფარვას ჯგუფის შიგნით მართავს მშობელი საწარმო ჯგუფის ფულადი საჭიროებების, და არა ცალკეული ინსტრუმენტების დაფარვის ვადების მიხედვით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები კრედიტუნარიანი საწარმოებია და ნებისმიერ ვადამოსულ ვალდებულებას დაფარავენ, თუ გაჩნდება დამატებითი ფულადი სახსრების საჭიროება. აქედან გამომდინარე, საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ მოთხოვნებისთვის ანარიცხები არ შექმნილა.

13. გაცემული სესხები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
გრძელვადიანი ნაწილი		
მშობელი საწარმო	33,786	–
სულ გრძელვადიანი ნაწილი	33,786	–
ნასესხები სახსრები, სულ	33,786	–

გაცემული სესხების მოძრაობა ასეთია:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	–	–
წლის განმავლობაში დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	863	211
წლის განმავლობაში მიღებული პროცენტი	(47)	(211)
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	34,641	7,465
სესხის ძირითადი თანხის დასაფარი შენატანები	(2,500)	(7,465)
საკურსო სხვაობა, წმინდა	829	–
31 დეკემბრის მდგომარეობით	33,786	–

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, სესხების გაცმა არარეზიდენტ საწარმოებზე ექვემდებარება მოგების გადასახადის გადახდას, სახელმწიფო ბიუჯეტისგან იმ გადასახადების დაბრუნების უფლებით, რომლებიც გადახდილია მაშინ, როცა სესხის თავდაპირველი თანხა უბრუნდება ქართულ საწარმოს. 2022 წელს კომპანიამ მშობელ საწარმოზე გასცა სესხი 32,141 ლარის ოდენობით და გადაიხადა მასთან დაკავშირებული 5,672 ლარის გადასახადები, რომლებიც აღირიცხა, როგორც „გადახდილი გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა“ კომპანიის 2022 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. კომპანია სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადახდილ თანხებს აღრიცხავს, როგორც პირობით აქტივებს და აპირებს მათ მოთხოვნას მშობელი საწარმოს მიერ სესხების დაფარვისთანავე.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ნაღდი ფული სალაროში		
ლარში გამოხატული	22	22
ევროში გამოხატული	1	2
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში		
ლარში გამოხატული	6,677	1,912
ევროში გამოხატული	121	120
აშშ დოლარში გამოხატული	11	56
ფულადი სახსრები გზაში	–	19
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	6,832	2,131

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში შედგება საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებისგან. მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს დაერიცხა 402 ლარის საპროცენტო შემოსავალი 2022 წელს (2021 წ.: 529 ლარი).

15. სააქციო კაპიტალი

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მთლიანი ნებადართული, გამოშვებული და განადგურებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა 5,501 ათასი აქციისგან, რომელთაგან თითოეულის ღირებულება 1 ლარია. თითოეული ჩვეულებრივი აქცია სარგებლობს ერთი ხმის უფლებით. 2022 და 2021 წლებში განმავლობაში კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდები.

16. ნასესხები სახსრები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
გრძელვადიანი ნაწილი		
მშობელი საწარმო	–	1,108
სს „ოპპა“	–	4,555
ქართული კომერციული ბანკი	–	2,803
სულ გრძელვადიანი ნაწილი	–	8,466
მოკლევადიანი ნაწილი		
მშობელი საწარმო	–	5,283
სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“	–	6,966
სს „ოპპა“	1,948	389
ქართული კომერციული ბანკი	–	12
სულ მოკლევადიანი ნაწილი	1,948	12,650
ნასესხები სახსრები, სულ	1,948	21,116

ნასესხები სახსრების მოძრაობა ასე გამოიყურება:

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	21,116	21,111
წლის განმავლობაში დარიცხული პროცენტი	888	1,868
დამატება წლის განმავლობაში	26,200	17,409
გადახდილი პროცენტი	(1,395)	(1,222)
სესხის ძირითადი თანხის დასაფარი შენატანები	(43,861)	(15,011)
საკურსო სხვაობა, წმინდა	(1,000)	(3,039)
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,948	21,116

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

16. ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

კრედიტორი	ვალუტა	გაცემის თარიღი	წლიური საპრო- ცენტო განა- კვეთი	დაუფარავი თანხა 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	დაუფარავი თანხა 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	დაფარვის თარიღი
მშობელი საწარმო	ევრო	7 მაისი, 2018 წ.	5%	–	6,391	30 ნოემბერი, 2023 წ.
სს „ოპპა“	ევრო	16 აპრილი, 2020 წ.	6%	–	2,704	30 ნოემბერი, 2023 წ.
სს „ოპპა“	ევრო	27 ნოემბერი, 2020 წ.	6%	1,948	2,241	30 ნოემბერი, 2023 წ.
ქართული კომერციული ბანკი	ევრო	17 მაისი, 2021 წ.	5.7%	–	2,815	29 აპრილი, 2023 წ.
სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“	ლარი	25 ივნისი, 2021 წ.	12%	–	637	25 ივნისი, 2022 წ.
სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“	ლარი	25 მაისი, 2021 წ.	12%	–	3,753	25 მაისი, 2022 წ.
სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“	ლარი	5 მაისი, 2021 წ.	12%	–	755	5 მაისი, 2022 წ.
სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“	ლარი	26 აპრილი, 2021 წ.	12%	–	820	26 აპრილი, 2022 წ.
სს „ეპ ჯორჯია გენერაცია“	ლარი	31 დეკემბერი, 2021 წ.	13%	–	1,000	31 დეკემბერი, 2022 წ.
სულ				1,948	21,116	

კომპანია არ მიმართავს ჰეჯირების აღრიცხვას და არ გაუფორმებია არანაირი ჰეჯირების ხელშეკრულება უცხოურ ვალუტაში თავის ვალდებულებებთან ან საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებით. სამართლიანი ღირებულებები წარმოდგენილია 29-ე შენიშვნაში.

17. ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
გრძელვადიანი		
ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	5,740	3,934

ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულების მოძრაობა ასე გამოიყურება:

2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,622
ფინანსური გარანტიის ამორტიზაციიდან მიღებული შემოსავალი (26-ე შენიშვნა)	(2,688)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,934
ფინანსური გარანტიის გაცემა	5,357
ფინანსური გარანტიის ამორტიზაციიდან მიღებული შემოსავალი (26-ე შენიშვნა)	(3,551)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,740

17. ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება (გაგრძელება)

2017 წლის 7 დეკემბერს და 2018 წლის 4 მაისს მშობელმა საწარმომ გამოუშვა 370 და 250 მილიონი ევროს გარანტირებული ობლიგაციები, რომელთა დაფარვის ვადა, შესაბამისად, იწურება 2022 წელსა და 2024 წელს. ობლიგაციები განთავსებულია საჯარო სააქციო საზოგადოება „ირლანდიის საფონდო ბირჟაზე“ (ივაჭრება, როგორც „ევრონექსტი დუბლინი“), რომელსაც არეგულირებს ირლანდიის ცენტრალური ბანკი. ობლიგაციები უპირობოდ და შეუქცევადად არის გარანტირებული კომპანიის, სს „ეპ ჯორჯია გენერაციის“, „ენერგო-პრო ვარნა EAD“-ისა და REŞADIYE HAMZALI ELEKTRİK ÜRETİM SAN-ის მიერ. VE TİC. A.Ş.-ის მიერ (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები). 2022 წლის თებერვალში დაიფარა 370 ევროს ობლიგაციები. გარდა ამისა, 2022 წლის თებერვალში მშობელმა საწარმომ გამოუშვა 435 მილიონი აშშ დოლარის გარანტირებული ობლიგაციები („ობლიგაციები“), რომლებიც უნდა დაიფაროს 2027 წელს. ობლიგაციები განთავსებულია საჯარო სააქციო საზოგადოება „ირლანდიის საფონდო ბირჟაზე“ (ივაჭრება, როგორც „ევრონექსტი დუბლინი“), რომელსაც არეგულირებს ირლანდიის ცენტრალური ბანკი. ობლიგაციები უპირობოდ და შეუქცევადად არის გარანტირებული კომპანიის, სს „ეპ ჯორჯია გენერაციის“, უშუალო მშობელი საწარმოს, სს „ეპ ჯორჯია მიწოდების“, „ენერგო-პრო ვარნა EAD“-ის, „ენერგო პრო თურქეთი ჰოლდინგი ეი.ეს.-ისა“ და „REŞADIYE HAMZALI ELEKTRİK ÜRETİM SAN“-ის მიერ. VE TİC. A.Ş.-ის მიერ (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები). შესაბამისი სამართლიანი ღირებულების აღიარება მოხდა პირდაპირ გაუნაწილებელი მოგების მეშვეობით, ვინაიდან გარიგება შედგა მშობელ საწარმოსთან, რომელიც მოქმედებდა, როგორც კომპანიის აქციონერი, და წრფივი მეთოდით ამორტიზდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების მეშვეობით.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
შესყიდულ ელექტროენერგიაში გადასახდელი თანხები	16,545	46,539
შემენილ ძირითად საშუალებებში გადასახდელი თანხები	2,459	16,160
მომსახურებასა და მასალებში გადასახდელი თანხები	5,208	8,738
სხვა	862	84
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,074	71,521

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიერ შესყიდულ ელექტროენერგიაში გადასახდელ, 7,601 ლარის (2021 წლის 31 დეკემბერი: 32,553 ლარი) ოდენობის თანხაზე ქართულ კომერციულ ბანკთან ფაქტორინგული ხელშეკრულებები გაფორმდა. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის შესყიდულ ძირითად საშუალებებში გადასახდელი 12,422 ლარის და შესყიდულ მომსახურებასა და მასალებში გადასახდელი 805 ლარის ოდენობის თანხაზე ქართულ კომერციულ ბანკთან ფაქტორინგული ხელშეკრულებები გაფორმდა (2022 წ: ნული). კომპანია ამ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით მართავს თავის ლიკვიდურობას. 2022 წელს კომპანიას ამ ფაქტორინგულ შეთანხმებებზე დაერიცხა 2,335 ლარის საპროცენტო ხარჯი (2021 წ.: 13,609 ლარი).

19. სახელშეკრულებო ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
ელექტროენერგიის გაყიდვა – საყოფაცხოვრებო	277	279
ელექტროენერგიის გაყიდვა – არასაყოფაცხოვრებო	5,319	5,264
მომსახურება	15,513	13,393
სხვა	338	930
ელექტროენერგიის განაწილება	39,715	39,715
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები	61,162	59,581

19. სახელშეკრულებო ვალდებულებები (გაგრძელება)

მომსახურება

მიერთების ტარიფს არეგულირებს სემეკი 2021 წლის 28 ივნისით დათარიღებული #19 დადგენილებით „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესები“. მომხმარებლები ვალდებული არიან, წინასწარ გადაიხადონ ქსელთან მიერთების საფასურის 50%, ხოლო მრავალბინიანი შენობების შემთხვევაში – მთლიანი თანხა.

სხვა

სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენს ქსელის რეკონსტრუქციისთვის და მოთხოვნილი სიმძლავრით უზრუნველყოფისთვის მომხმარებლებისგან მიღებულ ავანსებს.

ელექტროენერგიის განაწილება

ელექტროენერგიის განაწილებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენს სს „ეპ ჯორჯია მიწოდებისგან“ მიღებულ ავანსებს 2021 წლის 28 ივნისით დათარიღებული „ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის წესების“ მიხედვით.

2022 წლის განმავლობაში აღიარებული ამონაგები, რომელიც აისახა სახელშეკრულებო ვალდებულების ნაშთში წლის დასაწყისში, ასე გამოიყურება:

	2022	2021
ელექტროენერგიის გაყიდვა – საყოფაცხოვრებო	–	17,697
ელექტროენერგიის გაყიდვა – არასაყოფაცხოვრებო	–	6,031
მომსახურება	11,150	7,331
სხვა	591	766
სულ	11,741	31,825

20. სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
სხვა ვალდებულებები – გრძელვადიანი ნაწილი		
სახელმწიფო გრანტები (ა)	4,441	4,696
საიჯარო ვალდებულებები (ბ)	1,699	971
სხვა ვალდებულებები – გრძელვადიანი ნაწილი, სულ	6,140	5,667
სხვა ვალდებულებები – მოკლევადიანი ნაწილი		
საიჯარო ვალდებულებები (ბ)	680	304
საგადასახადო დავალიანება	4,282	992
გადასახდელი თანამშრომლებისთვის	20	–
სახელმწიფო გრანტები (ა)	408	408
სხვა ვალდებულებები	–	1,925
სხვა ვალდებულებები – მოკლევადიანი ნაწილი, სულ	5,390	3,629
სხვა ვალდებულებები, სულ	11,530	9,296

20. სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

(ა) სახელმწიფო გრანტები

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	5,104	5,239
მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული (22 შენიშვნა)	(418)	(408)
დამატება წლის განმავლობაში	163	273
31 დეკემბრის მდგომარეობით	4,849	5,104

სახელმწიფო გრანტები მიიღება არაფულადი აქტივების, როგორცაა მიწა და ელექტრომოწყობილობა, გადმოცემის სახით. კომპანია აფასებს აქტივების სამართლიან ღირებულებას და აქტივებს და გრანტებს ამ სამართლიანი ღირებულებით აღრიცხავს. მიღებული აქტივების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კომპანიის მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. გრანტების პირობები მოცემულია 27 შენიშვნაში.

(ბ) საიჯარო ვალდებულებები

	2022	2021
1 იანვრის მდგომარეობით	1,275	1,554
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	236	144
შემოსვლები	2,185	767
გასვლები	(537)	(372)
გადახდები	(780)	(818)
31 დეკემბრის მდგომარეობით	2,379	1,275

ქვემოთ მოცემულია მოგებაში ან ზარალში აღიარებული თანხები:

	2022	2021
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(1,019)	(728)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(236)	(144)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული მთლიანი თანხა	(1,255)	(872)

21. ელექტროენერგიის განაწილება და მომსახურება

	2022	2021
ელექტროენერგიის განაწილება მომწოდებლებზე	393,994	373,122
ელექტროენერგიის განაწილება პირდაპირ მომხმარებლებზე	57,136	31,919
სულ ელექტროენერგიის განაწილება	451,130	405,041

კომპანია სწევს ელექტროენერგიის განაწილების მომსახურებას. ეს მომსახურება გაეწევა ან პირდაპირ მომხმარებლებს, რომლებიც ელექტროენერგიას იძენენ ღია ბაზარზე, ან მიწოდების კომპანიებს, რომლებიც მიწოდების მომსახურებით უზრუნველყოფენ მომხმარებელთა დიდ რაოდენობას.

21. ელექტროენერგიის განაწილება და მომსახურება (გაგრძელება)

სემეკის მიერ კომპანიისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი განსხვავდება მიერთების ძაბვის სიდიდის მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილია განაწილების ეფექტური ტარიფები:

ძაბვა	მოხმარება	სექტორი	ლარი/კვტსთ (2022 წ.)	ლარი/კვტსთ (2021 წლის 1 ივლისიდან)	ლარი/კვტსთ (1 იანვარი – 2021 წლის ივლისი)
0.4 კვ		არასაყოფაც-ხოვრებო	0.11979	0.11979	0.11543
6/10 კვ		არასაყოფაც-ხოვრებო	0.05453	0.05453	0.04977
35-110 კვ		არასაყოფაც-ხოვრებო	0.03257	0.03257	0.02763
0.4 კვ	0-101 კვტსთ	საყოფაცხოვრებო	0.08609	0.08609	მითითებული არ არის
0.4 კვ	101-301 კვტსთ	საყოფაცხოვრებო	0.11979	0.11979	მითითებული არ არის
0.4 კვ	301-ზე მეტი კვტსთ	საყოფაცხოვრებო	0.15071	0.15071	მითითებული არ არის

კოვიდ-19-ით დაზარალებული ეკონომიკის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ მოახდინა 2020 წლის მარტ-მაისში და 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლამდე პერიოდში წყლის, გაზის და ელექტროენერგიის მოხმარების სუბსიდირება ფიზიკური პირების გარკვეული კატეგორიებისთვის. 2021 წლის განმავლობაში აღნიშნულმა გარიგებამ შეადგინა 31,984 ლარი. 2022 წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობას არ მოუხდენია წყლის, გაზის და ელექტროენერგიის მოხმარების სუბსიდირება.

გარდა ამისა, საქართველოს მთავრობამ მოახდინა კომპანიის მომხმარებლების გარკვეული კატეგორიების სუბსიდირება სემეკის მიერ 2021 წლის 1 იანვრიდან დაწესებულ ტარიფებსა და 2020 წელს გაზრდამდე მოქმედ ტარიფებს შორის სხვაობებისთვის. საყოფაცხოვრებო სექტორი მთლიანად სუბსიდირდა, ხოლო არასაყოფაცხოვრებო სექტორისთვის მხოლოდ ტარიფებს შორის სხვაობის 50% დაიფარა სუბსიდიით. სუბსიდია ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე და ჯამში 16,429 ლარი შეადგინა. 1 იანვრიდან 1 მარტამდე სატარიფო სხვაობის სუბსიდირება მოქმედებდა კოვიდ-19-ის გამო სუბსიდირების პარალელურად, რომელიც პრიორიტეტული იყო. საერთო ჯამში, ტარიფის სუბსიდირება 1 იანვრიდან 1 ივლისამდე გაუტოლდა 48,414 ლარს.

მომსახურება მოიცავს ამონაგებს მომხმარებლებისთვის ქსელთან მიერთების და სიმძლავრის ზრდის მომსახურებების მიწოდებიდან.

სახელშეკრულებო ნაშთები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 57,656 ლარის ოდენობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და მთლიანი სახელშეკრულებო ვალდებულებების ნაშთები 61,162 ლარის ოდენობით (2021 წლის 31 დეკემბერი: 66,287 ლარის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და 59,581 ლარის მთლიანი სახელშეკრულებო ვალდებულება) უკავშირდება ფასს 15-ის მიხედვით აღიარებულ ამონაგებს. დარჩენილი სხვა მოთხოვნების ნაშთი უკავშირდება კომპანიის მიერ სტანდარტების მიხედვით აღიარებულ შემოსავალს.

2021 წლის 28 ივნისით დათარიღებული #19 დადგენილების 41-ე მუხლის თანახმად („ელექტროენერგიის განაწილებელი ქსელის წესები“), მომწოდებელი კომპანია – სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“ ვალდებულია განათავსოს დეპოზიტი განაწილების ლიცენზიის მფლობელთან – კომპანიასთან, რათა შეამციროს განაწილების მომსახურების საფასურის გადაუხდელობის რისკი. 2022 წლის განმავლობაში კომპანიამ მიიღო 39,715 ლარის დეპოზიტი სს „ეპ ჯორჯია მიწოდებისგან“. ეს თანხა განისაზღვრა 2021 წლის ივლისისთვის განაწილების მომსახურების ღირებულების საფუძველზე და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანად დაუფარავია, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

22. სხვა შემოსავალი

	2022	2020
საიჯარო შემოსავალი (ა)	7,214	6,747
შემოსავალი მომსახურებიდან (ბ)	2,315	1,361
მესამე მხარეებისგან გადმოცემული აქტივები	1,474	1,776
უიმედო ვალის ამოღება	1,265	–
შემოსავალი ჯარიმებიდან და საურავებიდან	899	330
მარაგების და ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა (გ)	534	705
მიღებული სახელმწიფო გრანტები	418	408
ძირითადი საშუალებების და მარაგების გასვლასთან დაკავშირებული წმინდა შემოსულობა	154	73
შვილობილი საწარმოს გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა	–	22,000
სხვა	1,592	1,178
სხვა შემოსავლები, სულ	15,865	34,578

- (ა) საიჯარო შემოსავლის დიდი ნაწილი მიკუთვნებადია ქსელური კომპანიებისთვის რადიო-ტელეკომუნიკაციის საბაზო სადგურების განსათავსებლად ბოძების იჯარით გადაცემისთვის.
- (ბ) მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალში შედის მომხმარებლების მიერ ქსელის რეკონსტრუქციისთვის და მოთხოვნილი სიმძლავრით უზრუნველყოფისთვის გადახდილი 2,261 ლარი (2021 წ.: 1,205 ლარი).

23. შესყიდული ენერგია

შესყიდული ელექტროენერგია მოიცავს ქსელური დანაკარგებისთვის შესყიდული ელექტროენერგიის, შესაბამისი გადაცემის, დისპეტჩერიზაციის და გარანტირებული სიმძლავრის დანახარჯებს. 2021 წლის 1 ივლისიდან კომპანია შესყიდული ელექტროენერგიის ხარჯებს კისრულობს მხოლოდ თავისი ქსელური დანაკარგების დასაფარად და შესაბამისი გადაცემის დანახარჯების გადასახდელად:

	2022	2021
შესყიდული ელექტროენერგია	(89,801)	(79,632)
გადაცემა	(15,178)	(12,840)
ესკოს გარანტირებული სიმძლავრე	–	(4,257)
დისპეტჩერიზაცია	–	(917)
სულ შესყიდული ენერგია	(104,979)	(97,646)

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან შესყიდულმა ელექტროენერგიამ 2022 და 2021 წლებში, შესაბამისად, შეადგინა ნული ლარი და 30,871 ლარი (მე-7 შენიშვნა). საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოთი დათარიღებულ #77 ბრძანებაში შესული ცვლილების შესაბამისად, გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები ვალდებული არიან შეისყიდონ ქსელური დანაკარგები ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისგან (ესკო) განცალკევების შემდეგ. 2021 წლის 1 ივლისიდან გამანაწილებელი სისტემის ოპერატორი არ უხდის ესკოს გარანტირებული სიმძლავრის ღირებულებას.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

24. მომსახურების ხარჯები

	2022	2021
პროფესიული მომსახურება	(19,018)	(10,076)
საიჯარო ხარჯი	(4,685)	(3,943)
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	(2,967)	(1,604)
სადაზღვევო ხარჯი	(1,579)	(1,517)
დაცვა-უსაფრთხოების ხარჯი	(552)	(551)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(162)	(214)
სხვა	(2,748)	(4,166)
სულ მომსახურება	(31,711)	(22,071)

პროფესიული მომსახურების გასამრჯელოში შესული 18,564 ლარი მიკუთვნებადია უშუალო მშობელი საწარმოსთვის (მე-7 შენიშვნა), რომელიც სწევს სრულ ადმინისტრაციულ მომსახურებას.

აუდიტორის საზღაური

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის, კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება იყო (დღგ-ის გარეშე):

	2022	2021
კომპანიის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო	(117)	(135)
სხვა მარწმუნებელი მომსახურების დანახარჯები	(162)	(290)
სხვა პროფესიული მომსახურების დანახარჯები	(18)	(26)
სულ საზღაურები და ხარჯები	(297)	(451)

სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისთვის სხვა პროფესიულ მომსახურებაში გადასახდელი გასამრჯელო და ასანაზღაურებელი დანახარჯები შეადგენს 2 ლარს (2021 წ.: 228 ლარი), დღგ-ის გარეშე.

25. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
დამცავი სამოსი და იარაღები	(1,276)	(717)
ჯარიმები და საურავები	(1,108)	(773)
სემეკის ლიცენზიის მოსაკრებლის საფასური	(988)	(1,443)
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	(557)	(676)
მარაგების მოძველების ხარჯი და ჩამოწერა	(335)	(691)
მოხმარებული საოფისე მარაგები	(308)	(1,431)
სამივლინებო ხარჯი	(203)	(105)
რეზერვის დარიცხვა	(165)	(131)
პროექტის ექსპერტიზის ხარჯი	(145)	(196)
დასაქმებულთა გასამრჯელოები	(35)	(18)
ესკოს მომსახურების საფასური	(108)	(477)
გაუფასურების რეზერვი და უიმედო ვალების ჩამოწერა	–	(2,823)
სხვა	(1,649)	(5,295)
სხვა საოპერაციო ხარჯები, სულ	(6,877)	(14,776)

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

ათას ლარში

26. ფინანსური დანახარჯები, წმინდა

	2022	2021
შესყიდული სავაჭრო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	(2,335)	(13,609)
ნასესხების სახსრების საპროცენტო ხარჯი	(888)	(1,868)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (მე-20 შენიშვნა)	(236)	(144)
ფინანსური ხარჯები	(3,459)	(15,621)
ფინანსური გარანტიის ამორტიზაციიდან მიღებული შემოსავალი (17 შენიშვნა)	3,551	2,688
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხებიდან (მე-16 შენიშვნა)	863	211
საპროცენტო შემოსავალი ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან	402	529
სხვა ფინანსური შემოსავალი	776	–
საკუროს სხვაობიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	2,434	4,213
ფინანსური შემოსავალი	8,026	7,641
წმინდა ფინანსური შემოსავალი/(დანახარჯები)	4,567	(7,980)

27. პირობითი ვალდებულებები

სასამართლოში საქმის წარმოება

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიის წინააღმდეგ შეიძლება სარჩელი აღიძვრას. თავისი შეფასებებისა და შიდა თუ გარე პროფესიონალების რჩევის საფუძველზე, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ განიცდის არსებით ზარალს სარჩელებიდან იმ თანხაზე მეტი ოდენობით, რაც დარეზერვებული აქვს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

2018 წელს სს „საქართველოს რკინიგზამ“ კომპანიასთან წამოიწყო დავა სს „საქართველოს რკინიგზასა“ და კომპანიას შორის 2011 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გამოწერილი ინვოისების სისწორის თაობაზე. 2018 წლის დეკემბერში კომპანიამ გააუქმა არასწორი ინვოისები და სს „საქართველოს რკინიგზას“ სწორი ინვოისები წარუდგინა. სს „საქართველოს რკინიგზა“ დაეთანხმა ახალ ინვოისებს, თუმცა 2019 წლის მაისში კომპანიის წინააღმდეგ დავა დაიწყო 1,942 ლარის ოდენობის დაკარგულ საპროცენტო შემოსავალთან დაკავშირებით. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების თანახმად, მოსარჩელემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102 მუხლის თანახმად, ვერ წარმოადგინა ზიანის მტკიცებულება მიუღებელი შემოსავლის სახით, რომელიც წარმოადგენს სადავო თანხის გადახდაზე უარის თქმის საფუძველს (1,942 ლარი). 2021 წლის 26 აგვისტოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა სს „საქართველოს რკინიგზამ“. კომპანიის საწყისი შეფასებით, ამასთან დაკავშირებით აღსრულებითი ღონისძიება შესაძლებელია, თუმცა არა მოსალოდნელი. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ მომხდარა ამ ვალდებულებისთვის რეზერვების გათვალისწინება.

2021 წლის 21 მაისს სს „საქართველოს რკინიგზამ“ კომპანიასთან წამოიწყო კიდევ ერთი დავა სს „საქართველოს რკინიგზასა“ და კომპანიას შორის 2011 წლის 27 სექტემბერს გაფორმებული ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე გამოწერილი ინვოისების სისწორის თაობაზე 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისამდე გადახდილი თანხებისთვის. ინვოისების შემცირების მთლიანი მოთხოვნილი ოდენობა იყო 6,980 ლარი, დღგ-ის გარეშე. სასამართლოს 2021 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით, კომპანიას დაევა 6,980 ლარის სრულად გადახდა. ეს გადაწყვეტილება კომპანიამ გაასაჩივრა. კომპანიამ ეს საჩივარი სრულად ასახა ფინანსურ ანგარიშგებაში ამონაგების და მოთხოვნების შემცირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ზუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყებების მიერ სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს განმარტებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი

27. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა (გაგრძელება)

ჯარიმების, საურავებისა და პროცენტის დაკისრების უფლება. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე.

თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი თავიანთი ინტერპრეტაციის შესაბამისად იმოქმედებენ, ამის გავლენა წინამდებარე ფინანსურ ინფორმაციაზე, შესაძლოა, კომპანიისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. საგადასახადო დეკლარაციები საგადასახადო ორგანოებისგან შემოწმებას სამი წლის განმავლობაში ექვემდებარება.

გაცემული გარანტიები

გარანტიები წარმოადგენს გამოუთხოვარ რწმუნებას მასზე, რომ კომპანია განახორციელებს გადახდებს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

კომპანიამ მშობელ საწარმოს წარუდგინა გარანტია ირლანდიის საფონდო ბირჟა რეგისტრირებული ობლიგაციებისთვის. კომპანიამ აღიარა ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული შესაბამისი ვალდებულება 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (მე-17 შენიშვნა).

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება, ხოლო სამართალგამოყენების ფორმები სამთავრობო ორგანოების მუდმივი გადასინჯვის საგანს წარმოადგენს. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

საქართველოს მთავრობის წინაშე აღებული ვალდებულებები

საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის 2007 წელს გაფორმებული „ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროგამანაწილებელი კომპანიების აქტივების გაყიდვის ხელშეკრულების“ თანახმად, კომპანიამ აიღო მომხმარებლებისთვის უწყვეტი მომსახურების გაწევის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა. ეს ვალდებულება კომპანიისთვის აქტიურია მანამ, სანამ იგი ფლობს საქართველოს ტერიტორიაზე (დედაქალაქის გარეთ) ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიას.

სახელმწიფო გრანტებთან დაკავშირებული ვალდებულებები

კომპანიას აღებული აქვს რამდენიმე სახელმწიფო გრანტი, რომლებზეც შესრულებული აქვს რეაბილიტაციის ვალდებულება და ევალება გრანტით გადაცემული ქონების ტექნიკური მომსახურება და დაცვა-უსაფრთხოება. კომპანიას ეს ვალდებულება აღებული აქვს ელექტროენერგიის განაწილების ლიცენზიის პირობების თანახმად.

2015 წელს კომპანია გახდა უზუფრუქტუარი, როდესაც მთავრობისგან გადმოეცა ქონება. გადმოცემული აქტივების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც, ძირითადად, შედგება გადამცემი ხაზებისგან, საწყისი აღიარებისას, 2,050 ლარს შეადგენდა. კომპანიას შეუძლია გამოიყენოს ეს გადამცემი ხაზები, თუმცა არ აქვს მათი გაყიდვის უფლება, და ევალება ამ ხაზების გამოყენება გარკვეული სოფლების ელექტრიფიკაციისთვის და ასევე ელექტროქსელის ტექნიკური მომსახურების ხარჯების დაფარვა. საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით, კომპანია ვალდებულია, ყოველი ხუთწლიანი პერიოდისთვის წარმოადგინოს აუდიტის დასკვნა, რომლითაც დასტურდება ვალდებულების შესრულება. კომპანიამ ასეთი ანგარიში 2020 წლის 13 აგვისტოს წარადგინა. ხელშეკრულების პირობების თანახმად, კომპანიას შემდეგი ანგარიშის წარდგენა ევალება 2025 წელს.

27. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორც საქართველოა, განვითარებული ბაზრებისგან განსხვავებულ რისკებს ატარებს, მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს. საქართველოში ბიზნესგარემოსთან დაკავშირებული კანონები და ნორმატიული აქტები სწრაფად იცვლება, ხოლო საგადასახადო და მარეგულირებელი გარემო სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში მიმდინარე მოვლენები.

ბოლო ორ წელიწადში საქართველოში მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, ძირითადად, საქართველოს საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აღმოსავლეთის პარტნიორობის კოლექტიური პოლიტიკური ინიციატივის მიხედვით. 2022 და 2021 წლებში მომხდარმა საკანონმდებლო ცვლილებებმა ამისთვის ნიადაგი კი მოამზადეს, მაგრამ მომავალში ცვლილებები კიდევ არის მოსალოდნელი.

საქართველოს ენერგოსექტორში გაგრძელდა ფუნდამენტური ცვლილებები. 2016 წლის ოქტომბერში ენერგეტიკულ ქარტიაზე ხელმოწერის შემდეგ საქართველომ დაამტკიცა ახალი კანონი „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ (შემდგომში „კანონი“) და კანონი „ენერგიის განახლებადი წყაროების შესახებ“ 2019 წლის დეკემბერში, რამაც საფუძველი ჩაუყარა ქვეყანაში ელექტროენერგიის ბაზრის ლიბერალიზაციას. კანონი იძლევა სამართლებრივ ბაზას გადაცემისა და განაწილების სისტემების ერთმანეთისგან გამიჯვნისთვის, ასევე საბითუმო და საცალო ბაზრის გახსნისთვის. საქართველომ მეორადი კანონმდებლობის მიღება წინასწარ შედგენილი განრიგით დაიწყო. 2020 წლის აპრილში ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციისა და ელექტროენერგიის ბაზრის წესების მიღება, რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 1 ივლისიდან, წარმოადგენს საბითუმო და საცალო ბაზრების ეტაპობრივი გახსნის საფუძველს. კანონის თანახმად, კომპანიამ განაწილებისა და მიწოდების საქმიანობების გამიჯვნის გეგმა 2020 წლის ოქტომბერში წარმოადგინა, რომელიც დამტკიცდა 2020 წლის დეკემბერში და საბოლოო სახე მიიღო 2021 წლის ივნისის ბოლოსთვის. დღით ადრე და დამატალანსებელი ბაზრები, რომლებიც უნდა გაიხსნას 2023 წლის 31 მარტიდან, ამჟამად ტესტირების ეტაპზეა.

28. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციების მიზანია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო არის რისკი იმისა, რომ მომხმარებელმა ვერ შეასრულოს ან დროულად ვერ შეასრულოს კომპანიის მიმართ ნაკისრი ვალდებულებები და ამის გამო კომპანიას მიაყენოს ფინანსური ზარალი. კომპანიას საკრედიტო რისკი, ძირითადად, თავისი საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) გამომდინარე აქვს. კომპანიას საქართველოში (დედაქალაქის გამოკლებით) მონოპოლისტური მდგომარეობა აქვს და მისი საქმიანობა რეგულირებას ექვემდებარება, ამიტომ სასურველი მომხმარებლების არჩევის შესაძლებლობა შეზღუდული აქვს.

2021 წლის 1 ივლისს განცალკევების შემდეგ, კომპანიის მთავარი ერთი კლიენტი არის საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“. სავაჭრო მოთხოვნების მთლიანი მოცულობის 69% ამ ერთ კონტრაქტს უკავშირდება. დაკავშირებული მხარის მიმართ სავაჭრო მოთხოვნების უდიდესი ნაწილი არ არის ვადაგადაცილებული და, ამასთან, სს „ეპ ჯორჯია მიწოდებას“ კომპანიისთვის გადახდილი აქვს უზრუნველყოფის ავანსები 39,715 ლარის ოდენობით (21-ე შენიშვნა). ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ სს „ეპ ჯორჯია მიწოდება“ კრედიტუნარიანი საწარმოა და თანხების ანაზღაურება სრულად მოხდება, ამრიგად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ჩაითვალა არაარსებობად და ამ მისაღები თანხებისთვის არ შეიქმნა ანარიცხები.

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი ფულად სახსრებზე შეზღუდულია, რადგან კონტრაქტები არიან დადებითი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკები.

31 დეკემბერი, 2022 წ.	შენიშვნა	გარე საკრედიტო რეიტინგი	შიდა საკრედიტო რეიტინგი	12-თვიანი ან აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	ზარალის რეზერვი	ნარჩენი საბალანსო ღირებულება
სავაჭრო მოთხოვნები	12	მითითებუ ლი არ არის	(i)	არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი	43,523	1,082	42,441
სხვა მოთხოვნები	12	მითითებუ ლი არ არის	(ii)	არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი	11,897	2,664	9,233
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	14	BB-	(iii)	12-თვიანი მოსალოდნელ ი საკრედიტო ზარალი	6,809	–	6,809
გაცემული სესხები	13	BB-/ არა	(iv)	ინდივიდუალ ური	33,786	–	33,786

- (i) სავაჭრო მოთხოვნების შემთხვევაში, მათი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად კომპანიამ გამოიყენა ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომა. კომპანია ამ მუხლებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს დარეზერვების მატრიცის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის ისტორიულ გამოცდილებას დებიტორების ვადაგადაცილებული სტატუსის მიხედვით და შესაბამისად კორექტირდება, რათა ასახოს ამჟამინდელი პირობები და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზი. აქედან გამომდინარე, ამ აქტივების საკრედიტო რისკის პროფილი წარმოდგენილია დარეზერვების მატრიცაში მოცემული მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. 12 შენიშვნაში უფრო დაწვრილებით არის ასახული ამ აქტივების ზარალის რეზერვი.
- (ii) კომპანია სხვა მოთხოვნებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობას გამოითვლის ზარალის დონეების მიხედვით, რომლებსაც განსაზღვრავს ექსპერტების მოსაზრებაზე დაყრდნობით. ექსპერტის მოსაზრების გამოყენება გონივრულად მიიჩნევა ისტორიული ინფორმაციის არქონის გამო, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელი იქნებოდა რეზერვების მატრიცის შედგენა.
- (iii) ამ დეპოზიტებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. 12-თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ის ნაწილი, რომელსაც განაპირობებს ფინანსურ ინსტრუმენტზე დეფოლტის შემთხვევების შესაძლო დადგომა საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც აქტივის წარმოშობიდან საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რეზერვი შეიქმნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მთლიანად პირველ სტადიაზეა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარების თვალსაზრისით.
- (iv) დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება ინდივიდუალურად. კომპანიის შეფასებით, ეს თანხები სრულად ამოღებადია დაკავშირებული მხარეებიდან და ამიტომ ამ დავალიანებებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი არ შეუქმნია.

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ბ) საბაზრო რისკი

კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიცია უცხოურ ვალუტაში და პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ეყრდნობა ცვლილებას ერთ ფაქტორში, როდესაც ყველა დანარჩენი ფაქტორი მუდმივია.

პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს და გარკვეულ ფაქტორებში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ერთმანეთთან კორელაციაში იყოს – მაგალითად, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსების ცვლილება.

(გ) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფითად აისახება ცვლილებები სავალუტო კურსებში, რომლებიც კომპანიისთვის აქტუალურია. კომპანიის გარკვეული ოპერაციები უცხოურ ვალუტებშია გამოხატული. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სავალუტო რისკის სამართავად, ამავდროულად, კომპანიის ხელმძღვანელობა ასეთი რისკების შემცირებას ცდილობს უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებების მართვით კომპანიის დონეზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის სავალუტო კურსის მერყეობის რისკის მოცულობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებუ- ლებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ლარი	60,364	36,591	23,773	64,371	70,878	(6,507)
აშშ დოლარი	11	1,340	(1,329)	70	717	(647)
ევრო	34,574	1,996	32,578	511	29,168	(28,657)
სულ	94,949	39,927	55,022	64,952	100,763	(35,811)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის სამუშაო ვალუტასთან მიმართებით სავალუტო კურსის მოსალოდნელი ცვლილებების ეფექტი მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე და საკუთარ კაპიტალზე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია:

	2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე	ეფექტი მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(266)	(129)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	266	129
ევროს გამყარება 20%-ით	6,516	(5,731)
ევროს გაუფასურება 20%-ით	(6,516)	5,731

რისკის მოცულობა გამოთვლილია მხოლოდ ფულადი ნაშთებისთვის, რომლებიც გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში.

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(დ) საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას არ ახდენს ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთების დონეების მერყეობა, რადგან მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ფიქსირებული განაკვეთები აქვს.

(ე) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. კომპანია ხასიათდება ყოველდღიური მოთხოვნით ხელმისაწვდომ ფულადი სახსრების რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით.

კომპანიის მიზანია შეინარჩუნოს სტაბილური ფინანსური რესურსების ბაზა, რომელიც ძირითადად შედგება ნასესხები სახსრებისგან. კომპანია ფულადი სახსრების ინვესტიციას ახდენს ლიკვიდური აქტივების დივერსიფიცირებულ პორტფელში, რათა შეემოწმოს ლიკვიდურობის გაუთვალისწინებელ აუცილებლობაზე სწრაფი და უმტკივნეულო რეაგირება. კომპანიის ლიკვიდური პორტფელი შედგება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან (მე-14 შენიშვნა). ხელმძღვანელობის შეფასებით, ფულადი სახსრებისა და საბანკო ანაზღაურების ლიკვიდური პორტფელი შეიძლება რეალიზდეს ნაღდი ფულით ერთ დღეში, რათა დაკმაყოფილდეს ლიკვიდურობის ნებისმიერი გაუთვალისწინებელი საჭიროება.

ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომლებიც გაანალიზებულია დარჩენილი სახელშეკრულებო ვადის მიხედვით. ვადების ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს. ამგვარი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ოდენობებისგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მითითებული თანხები ემყარება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მონაცემებს. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები	–	–	2,043	–	2,043
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (18 შენიშვნა)	23,891	1,183	–	–	25,074
ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება (მე-17 შენიშვნა)	1,900,670	–	–	–	1,900,670
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	1,924,561	1,183	2,043	–	1,927,787

ფინანსური გარანტიის ვალდებულება მიკუთვნებულია უადრესი პერიოდისთვის და წარმოდგენილია იმ ობლიგაციების მთლიანი თანხით (საანგარიშგებო თარიღამდე დარიცხული პროცენტის ჩათვლით), რომლებსაც ეხება გარანტია. კომპანია არ მოელის ამ გარანტიის საფუძველზე ფულადი სახსრების გადინებას (მე-17 შენიშვნა).

28. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

(ე) ლიკვიდურობის რისკი (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	მოთხოვნამდე და 1 თვემდე ვადით	1-დან 3 თვემდე	3-დან 12 თვემდე	12 თვიდან 5 წლამდე	სულ
ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები	–	–	13,092	9,522	22,614
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (18 შენიშვნა)	58,294	13,227	–	–	71,521
ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულება	2,201,918	–	–	–	2,201,918
სულ სამომავლო გადახდები, ძირითადი თანხისა და პროცენტის სამომავლო გადახდების ჩათვლით	2,260,212	13,227	13,092	9,522	2,296,053

(ვ) კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანია საკმარისი კაპიტალის შენარჩუნება, რომ დამაკმაყოფილებლად წარმართოს თავისი ოპერაციები. კომპანიას არ უხდება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნების დაკმაყოფილება.

29. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ხდება სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეების მიხედვით: (i) 1-ლი დონე - იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე, (ii) მე-2 დონე - ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა, და (iii) მე-3 დონე - ღირებულებითი შეფასების მეთოდები, რომლებიც არ ეყრდნობა დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ე.ი. არაემპირიული ამოსავალი მონაცემები). ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის გამოყენებით შეფასებისას ხელმძღვანელობა იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა დაკვირვებად ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც მნიშვნელოვან კორექტირებებს საჭიროებენ, აღნიშნული შეფასება მე-3 დონეს განეკუთვნება. შეფასების ამოსავალი მონაცემების მნიშვნელობა ფასდება მთლიანად სამართლიანი ღირებულებით შეფასებასთან მიმართებით.

29. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

- (ა) აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, თუმცა მათი სამართლიანი ღირებულება მოცემულია განმარტებით შენიშვნებში

სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შესაბამისი დონის მიხედვით გაანალიზებული სამართლიანი ღირებულება და საბალანსო ღირებულება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით:

		31 დეკემბერი, 2022 წ.		31 დეკემბერი, 2021 წ.	
		საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
	დონე				
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (12 შენიშვნა).	დონე 3	51,674	51,674	56,580	56,580
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	დონე 3	2,657	2,657	6,241	6,241
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (14 შენიშვნა)	დონე 1	6,832	6,832	2,131	2,131
იგაცემული სესხები	დონე 3	33,786	33,786	–	–
ფინანსური ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები (მე-16 შენიშვნა)	დონე 3	1,948	1,954	21,116	21,123
საიჯარო ვალდებულებები (მე-20 შენიშვნა)	დონე 3	2,379	2,379	1,275	1,275
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (18 შენიშვნა)	დონე 3	25,074	25,074	71,521	71,521
ანარიცხები	დონე 3	484	484	318	318
ფინანსურ გარანტიასთან დაკავშირებული ვალდებულებები (მე-17 შენიშვნა)	დონე 3	5,740	5,740	3,933	3,933
სხვა ვალდებულებები	დონე 3	4,302	4,302	2,918	2,918

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული იყო შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების სამართლიანი ღირებულება დაახლოებით ტოლია მათი საბალანსო ღირებულებისა, ამ ინსტრუმენტების დაფარვის მოკლე ვადის გამო;
- ▶ ნასესხები სახსრებისა და საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სამომავლო ფულადი ნაკადების ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო განაკვეთებით დისკონტირებით.

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“

მმართველობითი ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 21 მარტს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

2023 წლის 31 მაისი

თბილისი, საქართველო


ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს

ჩვენ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2023 წლის 21 მარტს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავიტარებია წლიურ ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

2023 წლის 31 მაისი

თბილისი, საქართველო

მმართველობითი ანგარიშგება

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ენერგო-პრო ჯგუფი საქართველოს ენერგობაზარზე 2006 წელს შემოვიდა. ენერგეტიკული აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, სს ენერგო-პრო ჯორჯიამ (შემდგომში „კომპანიამ“) შეიძინა 6 საშუალო ზომის ჰიდროელექტროსადგური (აწვესი, რიონჰესი, გუმათ ჰესების კასკადი, ძეგრულჰესი, შაორჰესი და ლაჯანურჰესი) და 2 ელექტროენერგეტიკული სადისტრიბუციო კომპანია (აჭარის ენერგო კომპანია და გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგო კომპანია). მოგვიანებით ბიზნესმა დაიწყო წარმატებული ზრდა, რამაც ხელი შეუწყო კომპანიის ჩამოყალიბებას ერთერთ ყველაზე მსხვილ ელექტროენერგიის წარმოებისა და განაწილების კომპანიად.

2016 წელს კომპანიის განაწილებისა და გენერაციის აქტივების გაყოფის შედეგად დაარსდა სს ეპ ჯორჯია გენერაცია. ამჟამად, სს ეპ ჯორჯია გენერაცია ფლობს და ამუშავებს 15 საშუალო და მცირე ზომის ჰიდრო ელექტრო სადგურს, საერთო ჯამური სიმძლავრით 489 მგვტ.

საქართველოში ენერგო-პრო ჯგუფი აგრეთვე ფლობს და ამუშავებს გარდაბნის გაზის თბოელექტროსადგურს შპს ჯიფაურს დადგმული სიმძლავრით 110 მგვტ.

კომპანია არის ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელის ყველაზე მსხვილი კერძო მფლობელი. კომპანიის მომსახურების არეალი შეადგენს 58 847 კმ². კომპანია ემსახურება 1.3 მლნ-ზე მეტ აბონენტს.

2017 წლის აგვისტოში კომპანიამ საჯარო აუქციონის გზით შეიძინა სს კახეთის ენერგოდისტრიბუციის დისტრიბუციის აქტივები. ეს საოპერაციო აქტივები, ძირითადად, შედგება კახეთის რეგიონის გამანაწილებელი ქსელისგან. ამის შედეგად, კომპანია საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე, თბილისის გარეთ ელექტროენერგიის ერთადერთი გამანაწილებელი კომპანია გახდა. კომპანია ფლობს მაღალი, საშუალო და დაბალი ძაბვის გამანაწილებელ ქსელს.

ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციისა და ელექტროენერგიის საცალო ბაზრის წესების მიღების შედეგად, კომპანიას გამოეყო მიწოდების ნაწილი და მის განახორციელებს ახლად ჩამოყალიბებული სს ეპ ჯორჯია მიწოდება, რომელმაც საქმიანობა დაიწყო 2021 წლის 1 ივლისს.

სს ეპ ჯორჯია მიწოდების საქმიანობის საგანია ელექტროენერგიის რეგულირებული მიწოდება სს ენერგო-პრო ჯორჯიას ქსელში ჩართული აბონენტებისთვის. სს ეპ ჯორჯია მიწოდებას დაკისრებული აქვს ელექტროენერგიის მიწოდების საჯარო მომსახურების სახით განხორციელების ვალდებულება და კომპანიის სალიცენზიო არეალში განსაზღვრულია ელექტროენერგიის სექტორში უნივერსალური მომსახურების მიმწოდებლად, საჯარო მომსახურების მიმწოდებლად და ბოლო ალტერნატივის მიმწოდებლად.

ჯგუფის რეორგანიზაციის შედეგად, 2021 წელს ასევე შეიქმნა სს ენერგო-პრო ჯორჯია ჰოლდინგი, რომელიც უზრუნველყოფს ენერგო-პრო ჯგუფის კომპანიების ფუნქციონირებისათვის საჭირო ზოგად სერვისებს, საერთო მომსახურების სახით. აღნიშნული კომპანიის შექმნით შესაძლებელი გახდა გამანაწილებელი სისტემის ოპერატორის სამართლებრივი განცალკევების პირობებში კომპანიების გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო ზოგადი (არასპეციფიკური) საქმიანობის არსებული რესურსებით უზრუნველყოფა.


ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში

ელექტროენერგიის ბაზრის გახსნის-ლიბერალიზაციის და თანამედროვე საბაზრო ინსტრუმენტების დანერგვის პროცესში შესასრულებელი სამუშაოების დიდი მოცულობიდან და სირთულეებიდან გამომდინარე, 2023 წლის 1 ივლისამდე ძალაშია წინა კანონის საფუძველზე დამუშავებული საკანონმდებლო აქტები და ბაზრის მოდელი.

ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში (გაგრძელება)

ჰესების, თესებისა და ქესების მიერ წარმოებული ელექტროენერგიის გადაცემას და განაწილებას ახორციელებენ გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის ოპერატორები. გარდა ამისა, ელექტროენერგიის ბაზარი მოიცავს გარანტირებული სიმძლავრის ბაზარს, რომელიც არის გადამცემი ოპერატორების საიმედო და სტაბილური სისტემის შენარჩუნების წინაპირობა. 2021 წლის 1 ივლისამდე, ელექტროენერგიის საცალო ბაზარზე ელექტროენერგიის გაყიდვას ახორციელებდნენ განაწილების ლიცენზიატები სემეკის მიერ დადგენილი ტარიფებით. 2021 წლის 1 ივლისის შემდგომ მოხდა მიწოდებისა და განაწილების ფუნქციების გაყოფა (განცალკევება), რის შედეგადაც ჩამოყალიბდნენ ახალი ბაზრის მოთამაშეები, ელექტროენერგიის მიმწოდებლები. სამიზნე ბაზრის სტრუქტურა, რომელიც უნდა ამოქმედდეს 2023 წლის 1 ივლისიდან, მოცემულია ქვემოთ, №1 ცხრილში:

ცხრილი № 1



მიმდინარე საკანონმდებლო ჩარჩოთი, საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის ძირითადი ნაწილი ორმხრივი ხელშეკრულებებით იყიდება, რომლებიც შეიძლება იყოს მოკლევადიანი (1-თვიანი) ან გრძელვადიანი (5-წლიანი). ხელშეკრულებები ფორმდება ელექტროენერგიის მიმწოდებელს, ტრეიდერს ან პირდაპირ მომხმარებლებსა და წარმოების ლიცენზიანტებს შორის.

სხვაობას წარმოებული ელექტროენერგიისა და პირდაპირი მომხმარებლების მიერ შესყიდული ელექტროენერგიის მოცულობებს შორის აბალანსებს ესკო, რომელიც ყიდის და ყიდულობს საბალანსო ელექტროენერგიას.

2019 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ახალი „კანონი ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ და „კანონი განახლებადი ენერგიის წყაროების შესახებ“ და საფუძველი ჩაუყარა ენერგოსექტორის რეფორმას ენერგოსაზოგადოების საერთაშორისო ხელშეკრულებისა და ევროპის ენერგეტიკული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. საქართველოს მთავრობის მიერ ქვეყნის ელექტროენერგიის სექტორის მიმდინარე რეფორმის ფარგლებში 2020 წლის 16 აპრილს მიღებული ელექტროენერგიის ბაზრის მოდელის კონცეფციის მიხედვით, ელექტროენერგიის გარკვეულ მწარმოებლებს დაეკისრათ საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულება.

ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში (გაგრძელება)

ელექტროენერგიის ყველა მწარმოებელი 120 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრით ეტაპობრივად უნდა გათავისუფლდეს საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულებისგან: 2021 წლის 1 იანვრიდან 50 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მქონე მწარმოებლები, 2022 წლის 1 მაისიდან 65 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მქონე მწარმოებლები, 2024 წლის 1 მაისიდან 75 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მქონე მწარმოებლები, 2026 წლის 1 მაისიდან 90 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მქონე მწარმოებლები და 2027 წლის 1 იანვრიდან 120 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის მქონე მწარმოებლები. ამის შედეგად, შორეული გათავისუფლდა საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულებისგან 2021 წლის 1 იანვრიდან, ხოლო რიონჰესი 2022 წლის 1 მაისიდან და დაიწყეს თავისუფალ ბაზარზე მოქმედი ფასებით ვაჭრობა. დღით ადრე და დამატალანსებელი ბაზრები, რომლებიც უნდა გაიხსნას 2023 წლის 1 ივლისიდან, ამჟამად ტესტირების ეტაპზეა. საჯარო მომსახურების გაწევის ვალდებულების მქონე ელექტროსადგურები ვალდებული იქნებიან ელექტროენერგია დღით ადრე და დღიურ ბაზრებზე გაყიდონ საბაზრო ფასით. სხვაობა საბაზრო ფასსა და სემეკის მიერ დამტკიცებულ ტარიფს შორის ანაზღაურდება ესკოსთვის/ესკოს მიერ.

გამანაწილებელი კომპანიები ექვემდებარებიან სატარიფო რეგულირებას კომისიის მიერ ელექტროენერგეტიკის სექტორში მოქმედი სატარიფო მეთოდოლოგიებით. ელექტროენერგიის ტარიფების გაანგარიშების საფუძველს წარმოადგენს „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონი და ამავე კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, კომისიის მიერ შემუშავებული და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიები. ელექტროენერგიის განაწილების ტარიფების მეთოდოლოგია ეფუძნება საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული „წამახალისებელი“ (ზღვრული შემოსავლების რეგულირება) და „დანახარჯები პლუს“ რეგულირების პრინციპებს. „ზღვრული შემოსავლის რეგულირების“ მეთოდის მიხედვით, ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანია სემეკს სატარიფო განაცხადს წარუდგენს საბაზისო წლის მიხედვით (ანუ წელი, რომელიც უსწრებს ტარიფის დადგენის წელს) რეგულირების პერიოდისთვის. განაცხადში ასახულია ფინანსური და კომერციული მონაცემები, როგორცაა თითოეული საქმიანობის მოგება-ზარალის ანგარიშგება და რეგულირებადი აქტივების ბაზა. სემეკი შემდეგ ატარებს ხარჯების რეგულირებულ აუდიტს და ადგენს ტარიფებს გამანაწილებელი კომპანიებისთვის, ასევე წლიურ შემოსავალს, რომელიც საჭიროა რეგულირების პერიოდისთვის. სემეკის მიერ გამოიყენება რამდენიმე კომპონენტი მოქმედი ტარიფების გამოსათვლელად, სადაც ძირითადი ცვლადი ფაქტორებია რეგულირებული აქტივების ბაზა („RAB“) და WACC. RAB-ის გაზრდით, ინვესტიციებისა და მოდერნიზაციის ხარჯზე, კომპანიას შეუძლია ისარგებლოს უფრო მაღალი რეგულირებადი ტარიფებით. მიმდინარე რეგულირების პერიოდი მოიცავს 2021-2025 წლებს, რომლის მოქმედი WACC არის 15.39%.

კომპანიის განვითარების გეგმები

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 ივნისის #19 დადგენილებით დამტკიცებულ „გამანაწილებელი ქსელის წესების“ შესაბამისად, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ ადგენს გამანაწილებელი ქსელის განვითარების ხუთწლიან გეგმას. გეგმა, ასახავს მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ქსელით ელექტრომომარაგების, უსაფრთხოების ნორმებისა და საიმედოობის სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილ პროექტებს და გამანაწილებელ ქსელში ინვესტიციების საჭიროებებს, რაც აგრეთვე გათვალისწინებულია რეგულირებულ ტარიფში.

ქსელთან მიერთება

2022 წელს კომპანიის ქსელს 13 ათასამდე ახალი აბონენტი მიუერთდა. ახალი მომხმარებლების უდიდესი ნაწილი მოდის საცხოვრებელ კორპუსებზე, სასტუმროებზე, სავაჭრო ცენტრებზე და სხვ.

2022 წლის განმავლობაში ქსელთან ახალი მომხმარებლების მიერთების ტარიფები გადაიხედა და გაიზარდა, შესაბამისად, 2022 წელს გაიზარდა შემოსავალი ქსელთან მიერთებული ახალი მომხმარებლებიდან. ახალი მიერთების ტარიფის ზრდა გამოიწვია მიერთების მასალების თვითღირებულების ზრდამ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონებში აგრარული სექტორის განვითარების შედეგად მომხმარებლების რაოდენობაც გაიზარდა, ვინაიდან თანამედროვე სოფლის მეურნეობა აგრარული პროდუქციის წარმოების ყველა ეტაპზე საჭიროებს ელექტროენერგიას, იქნება ეს ელექტროენერგიის პირდაპირი მოხმარება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისთვის, წყლის მართვა, მიწის მორწყვა, მიწის დამუშავება თუ მოსავლის აღება. ასევე ახალი მიერთებების რიცხვი გაიზარდა საკურორტო ტერიტორიულ ერთეულებში ინფრასტრუქტურული მშენებლობების გამო (ბათუმი, გუდაური).

კომპანიის განვითარების გეგმები (გაგრძელება)

2018 წელს ახალ დამატებულ რეგიონში, კახეთში, ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროცესი დაიწყო. 2022 წელს 0.4 კვ ქსელის რეაბილიტაციისა და ინდივიდუალური გამრიცხველიანების პროექტის ფარგლებში ინდივიდუალური

მრიცხველი დაუმონტაჟდა 8,226 აბონენტს.

2023 წელს კომპანია აპირებს 161.21 მილიონი ლარის ინვესტიციის ჩადებას, საიდანაც 103 მილიონ ლარამდე ინვესტიცია ჩაიდება საქართველოს რამდენიმე რეგიონში გადამცემი ხაზებისა და ქსელების რეაბილიტაციაში, 58 მილიონ ლარამდე ინვესტიცია კი მოხმარდება ახალი მომხმარებლების ქსელზე მიერთების პროექტებს. გარდა ამისა, კომპანია აქტიურად გააგრძელებს რეგიონული ოფისებისა და სერვისცენტრების განახლებას სამუშაო სივრცის გაუმჯობესების მიზნით.

კომპანიის საინვესტიციო გეგმის თანახმად ინვესტიციები განხორციელდება შემდეგი მიმართულებით და ოდენობით:

ცხრილი #2

#	საინვესტიციო გეგმა	მლნ ლარი
1	ახალი მიერთება	58.00
2	0.4კვ ქსელის რეაბილიტაცია 2023	25.99
3	ქვესადგურების რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია	17.64
4	6/10კვ საჰაერო ეგზ-ების რეაბილიტაცია	10.66
5	10/6-0.4კვ ტრანსფორმატორების შეცვლა	8.35
6	110 კვ ეგზ-ების რეაბილიტაცია	7.14
7	კახეთის 0,4კვ ქსელის რეაბილიტაცია	7.06
8	ავტოპარკის განახლება	6.09
9	35 კვ ეგზ-ების მშენებლობა/რეაბილიტაცია	2.90
10	დისტრიბუციის სხვა პროექტები	17.36
	სულ ინვესტიცია:	161.21

2022 წლის მნიშვნელოვანი პროექტები

- ▶ ქ/ს ქუთაისი-3 ფიდერ 5ა, 5ბ-სა და 173-ს შორის კავშირი;
- ▶ ქ/ს ქუთაისი-1 ფიდერ 258-ს, ფ. 185-სა და ფ.სატრაქტოროს შორის კავშირი;
- ▶ ქ/ს ქუთაისი-1 ფიდერ 2ა-სა და ცგპ-10-ის ფიდერებს შორის კავშირი;
- ▶ ქ/ს ქუთაისი-6 ფიდერ რეზინების გაყოფა და 9 სატრანსფორმატორო პუნქტის ახალ ფიდერზე გადართვა;
- ▶ **ვანის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ფიდერ ზედა ვანზე მიუვალი ადგილიდან 1 კმ ხაზის გამოტანა;
- ▶ **ბაღდათის მომსახურების ცენტრში** დაბალი ძაბვის პრობლემის აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა ფიდერ სამტრესტზე 1.3 კმ ხაზის მშენებლობა და ტრანსფორმატორის ჩამატება;
- ▶ **ცაგერ-ლენტეხის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ფიდერ წიფერზე და ფიდერ ჩუკელზე მიუვალი ადგილიდან 1.5 კმ ხაზის, ხოლო ფიდერ ლაშიჭალაზე 3 კმ ხაზის გამოტანა;
- ▶ **ტყიბულის მომსახურების ცენტრში** ეგზ ცოფი 1 -ის საჰაერო გადამცემი ხაზი ჩანაცვლდა ნაწილობრივ საკაბელო ხაზით. ასევე განხორციელდა ფიდერ დერაზე მიუვალი ადგილიდან 1 კმ ხაზის გამოტანა;
- ▶ **თერჯოლის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ფიდერ ოქტომბერის გაყოფა და ოთხი სატრანსფორმატორო პუნქტის ფიდერ ღვინის ქარხანაზე გადართვა;
- ▶ **ზესტაფონის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ფიდერ საწაბლედან 1 კმ ხაზის მიუვალი ადგილიდან გამოტანა;

2022 წლის მნიშვნელოვანი პროექტები (გაგრძელება)

- ▶ ხარაგაულის მომსახურების ცენტრში დაბალი ძაბვის აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა ფიდერ ხევე 1 კმ ხაზის მშენებლობა და ტრანსფორმატორის ჩამატება;
- ▶ სენაკის მომსახურების ცენტრში დაბალი ძაბვის აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა ფიდერ ხორშე და ფიდერ გეჯეთზე 1 კმ ხაზის მშენებლობა და ტრანსფორმატორის ჩამატება;
- ▶ ჩხოროწყის მომსახურების ცენტრში განხორციელდა ფიდერ ნაკიანზე მიუვალი ადგილიდან 400 მ ხაზის გამოტანა;
- ▶ ზუგდიდის მომსახურების ცენტრში განხორციელდა ქ/ს ზუგდიდი-2 ფიდერ #8-სა და ქ/ს ზუგდიდი-4 ფიდერ #9-ს შორის კავშირი; ასევე ქ/ს ზუგდიდი-1 ფიდერ #18-ზე მიუვალი ადგილიდან 450 მ ხაზის გამოტანა, ხოლო ფიდერ მარქსზე 400 მ ხაზის გამოტანა.
- ▶ ხობის მომსახურების ცენტრში დაბალი ძაბვის აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა 1.2 კმ ხაზის მშენებლობა და ტრანსფორმატორის ჩამატება; ასევე, ფიდერ განთიადზე მიუვალი ადგილიდან 600 მ ხაზის გამოტანა.
- ▶ მარტვილის მომსახურების ცენტრში დაბალი ძაბვის აღმოფხვრის მიზნით განხორციელდა 800 მ ხაზის მშენებლობა და ტრანსფორმატორის ჩამატება;
- ▶ წალენჯიხის მომსახურების ცენტრში განხორციელდა ქ/ს ჯვარი ახალი ფიდერ #3-ზე მიუვალი ადგილიდან 1.3 კმ ხაზის გამოტანა, ხოლო ქ/ს წალენჯიხა ფიდერ #7-ზე მიუვალი ადგილიდან 1.5 კმ ხაზის გამოტანა;
- ▶ ფოთის მომსახურების ცენტრში განხორციელდა ქ/ს ფოთი-1 ფიდერ #14-დან ფიდერ #9-ზე 5 სატრანსფორმატორო პუნქტის გადართვა. ასევე, ქ/ს ფოთი-2 ფიდერ #9-ზე საპარო ეგხ-ს ჩანაცვლება 800 მ საკაბელო ეგხ-ით; ქ/ს ფოთი-2 ფიდერ #9-სა და ფიდერ #19-ს შორის კავშირი;
- ▶ ყვარლის მომსახურების ცენტრში განხორციელდა ფიდერ გრემზე მიუვალი ადგილიდან 2,5 კმ ხაზის გამოტანა;
- ▶ ახმეტის მომსახურების ცენტრში განხორციელდა ფიდერ ზემო ალვანზე და ფიდერ პანკისზე მიუვალი ადგილიდან 1.5 კმ ხაზის გამოტანა;
- ▶ სიღნაღის მომსახურების ცენტრში განხორციელდა ფიდერ ნუკრიანის 3 ფიდერად გაყოფა და 4 ცალი გარე დადგმულობის ვაკუუმური ამომრთველის მონტაჟი;
- ▶ თბილისი-გარდაბნის მომსახურების ცენტრში აშენდა ახალი ქვესადგური გამარჯვება 110 და ჩაერთო 2 ახალი ფიდერი. ასევე, განხორციელდა ფიდერ #11 ბრიგადის გაყოფა და სპ-ების გამარჯვება 110 და გამომავალი ფიდერ #102-ზე გადართვა. ასევე, განხორციელდა ქ/ს გაჩიანი წევა ფიდერ #6-ის გაყოფა და სპ-ების ახალ ფიდერზე გადართვა. განხორციელდა ქ/ს რუსთავი 220 ფიდერ #18-ისა და ქ/ს გაჩიანი წევა ფიდერ #4-ს შორის კავშირი. ასევე განხორციელდა ქ/ს ორხევი ფიდერ #15-ზე მიუვალი ადგილიდან ჯამში 2.5 კმ ხაზის გამოტანა;
- ▶ მარნეულის მომსახურების ცენტრში განხორციელდა ფიდერ ოფრეთზე მიუვალი ადგილიდან 3 კმ ხაზის გამოტანა. ასევე, ფიდერ წერეთელზე მიუვალი ადგილიდან 550 მ ხაზის გამოტანა. ასევე, განხორციელდა ქ/ს სადახლო წევა ფიდერ #5-ზე მიუვალი ადგილიდან 1.5 კმ ხაზის გამოტანა; ქ/ს სადახლო წევა ფიდერ #51-ზე სკოლის ტერიტორიიდან 200 მ ხაზის გამოტანა; ფიდერ საკონსერვო ქარხანაზე მიუვალი ადგილიდან 350 მ ხაზის გამოტანა, ხოლო ფიდერ მარნეულზე მიუვალი ადგილიდან 600 მ ხაზის გამოტანა.

რუსთავის მომსახურების ცენტრში გაკეთდა შემდეგი კავშირები:

- ▶ ქ/ს მ.სანაპირო ფიდერ #25 სპ 701-141-სა და 701-143 შორის;
- ▶ ქ/ს მ.სანაპირო ფიდერ #25 სპ 701-141-სა და 701-142 შორის;
- ▶ ქ/ს ცგპ-1 ფიდერ #18 სპ 701-040-სა და 701-041 შორის;
- ▶ ქ/ს ცგპ-1 ფიდერ #18 სპ 701-040-სა და 701-048 შორის;
- ▶ ქ/ს პ.რუსთავი ფიდერ #17 სპ 701-058-სა და 701-054 შორის;

2022 წლის მნიშვნელოვანი პროექტები (გაგრძელება)

- ▶ **ბათუმის მომსახურების ცენტრში** შეიცვალა 25 ძალოვანი ტრანსფორმატორი და 6 კვ გადაკეთდა 10 კვ-ად. ასევე, განხორციელდა ფიდერ #522-ს, 506-სა და 419-ს შორის კავშირი.
- ▶ **ბათუმის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ფიდერ #301-ის ფიდერ #302-ის ცვპ-სთან კავშირი. ასევე, ქ/ს ბნქ ფიდერ #11-ის, ფიდერ #5-ისა და ფიდერ #7-ის კავშირი.
- ▶ **ლანჩხუთის მომსახურების ცენტრში** ქ/ს ლანჩხუთი წევა ფიდერ #1-ზე მიუვალი ადგილიდან 1.5 კმ ხაზის გამოტანა;
- ▶ **ქობულეთის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ქ/ს ოჩხამური ფიდერ #3-სა და ქ/ს ქობულეთი ფიდერ #10-ს შორის კავშირი. ასევე, ქ/ს ცეცხლაური ფიდერ #1-დან სპ-ების გადართვა ფიდერ #2-ზე. დამატებით, განხორციელდა ქ/ს ქობულეთის წევა ფიდერ #3-ისა და ფიდერ #8-ის კავშირი, ასევე ოპტიმიზაციისთვის ფიდერ #3-დან ფიდერ #8-ზე სპ-ების გადართვა;
- ▶ **ოზურგეთის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ქ/ს ოზურგეთი ფიდერ #6-სა და ფიდერ #8-ს შორის კავშირი. ასევე, ქ/ს ხიდმაღალა ფიდერ #2-ისა და ქ/ს შეკვეთილი ფიდერ #5-ს შორის კავშირი. დამატებით, განხორციელდა ქ/ს მთისპირი ფიდერ #2-ზე მიუვალი ადგილიდან 1.1 კმ ხაზის გამოტანა;
- ▶ **ხულოს მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ქ/ს დიდაჭარა ფიდერ #4-დან 2.5 კმ ხაზის მშენებლობა ქ/ს გოდერძისთან დასაკავშირებლად;
- ▶ **ქედა-შუახევის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ქ/ს შუახევის ფიდერ #5-დან ფიდერ #4-ზე სპ-ების გადართვა;
- ▶ **ქარელის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ფიდერ მოხისის გაყოფა და 9 სპ-ს ახალ ფიდერზე გადართვა;
- ▶ **ახალქალაქი-ნინოწმინდის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ფიდერ ქალაქი 2-სა და ფიდერ ხოსპიოს შორის კავშირი;
- ▶ **ჭიათურის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ფიდერ მანდაეთის გაყოფა და სპ-ების ახალ ფიდერზე გადართვა; ასევე, ფიდერ ზოდზე მიუვალი ადგილიდან 3.5 კმ ხაზის გამოტანა;
- ▶ **ბორჯომ-ბაკურანის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ფიდერ მზიური ველისა და ფიდერ ოლიმპიურის კავშირი ახალ ფიდერ კრისტალთან და ამ ახალ ფიდერზე საბაგიროს გადართვა; ასევე, ფიდერ კოხტაზე დაერთებული საბაგიროების ახალ ფიდერზე გადართვა;
- ▶ **მცხეთის მომსახურების ცენტრში** განხორციელდა ახალი გალავნის 35/6 კვ ქვესადგურის აშენება და 2 ფიდერის დამატება. ასევე, გაიყო ქ/ს საგურამო ფიდერ #9 და მოხდა აბონენტების ელ მომარაგების გაუჯობესებისთვის ახალ ფიდერებზე გადართვა;
- ▶ **დუშეთის მომსახურების ცენტრში** - განხორციელდა ეგზ ჩარგლის რეკონსტრუქცია;

კომპანიის ფილიალები

კომპანია საქართველოში წარმოდგენილია ხუთი რეგიონული ფილიალით და 60 მომსახურების ცენტრით. კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა 5,055-ია. აქედან 3,397 დასაქმებულია ფილიალებში, რომლებსაც უძღვებიან რეგიონული დირექტორები. 1,473 თანამშრომელი დასაქმებულია მაღალი ძაბვის დეპარტამენტში, 185 კი სათაო ოფისში.

1. აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალი – ოფისი მდებარეობს თბილისში თანამშრომლების რაოდენობა: 710.
2. სამხრეთ საქართველოს ფილიალი – ოფისი მდებარეობს ხაშურში თანამშრომლების რაოდენობა: 552.
3. დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალი – ოფისი მდებარეობს ქუთაისში თანამშრომლების რაოდენობა: 742.
4. დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალი – ოფისი მდებარეობს ბათუმში თანამშრომლების რაოდენობა: 923.
5. კახეთის ფილიალი – ოფისი მდებარეობს თელავში თანამშრომლების რაოდენობა: 470.
6. მაღალი ძაბვის დეპარტამენტი - ოფისები და ქვესადგურები მდებარეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თანამშრომლების რაოდენობა: 1,473.
7. სათაო ოფისი – მდებარეობს თბილისში თანამშრომლების რაოდენობა: 185.

კვლევა-განვითარება

2022 და 2021 წლებში კომპანიის კვლევა-განვითარებასთან დაკავშირებით ინოვაციური პროექტები არ დაფიქსირებულა.

კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

არაფინანსური მაჩვენებლები

მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება

კომპანიას გააჩია მომხმარებელთან ურთიერთობის რამოდენიმე არხი, რასაც აქტიურად და წარმატებით ვიყენებთ.

აბონენტს შეუძლია დაუკავშირდეს კომპანიას ქოლ ცენტრის მეშვეობით - 24/7 განმავლობაში, ელ. ფოსტის მეშვეობით, ვებ გვერდის მეშვეობით, სოციალური გვერდის მეშვეობით, გვაქვს ვიდეო მომსახურება სენაკიდან. მომხმარებელს ასევე დისტანციურად შეუძლია: ახალი ვებ გვერდის მეშვეობით შეავსოს სხვადასხვა ტიპის განცხადებები; მიიღოს ინფორმაცია SMS -ით ან ელ. ფოსტით. დისტანციური მომართვების მეთოდებს ასევე დაემატა USSD კოდის მეშვეობით დაფიქსირებულ მომხმარებელთა მომსახურების შესაძლებლობა, რაც აბონენტებს აძლევს მობილური ტელეფონით მრავალი სახის მოთხოვნის ჩამოყალიბების და კომპანიისთვის გადმოცემის შესაძლებლობას. ასევე, გაიზარდა ინტერაქციული ხმოვანი შეტყობინების (IVR) მეშვეობით მომხმარებელთა ინფორმირების შემთხვევებიც გეგმიურ სამუშაოებზე და ელექტროენერგიის ავარიულ წყვეტებზე, ასევე მიმდინარე დავალიანებაზე და გადახდის ვადებზე.

მომსახურების ცენტრების უმეტესობაში კომპანიას ჰყავს მინიმუმ ერთი თანამშრომელი აბონენტებთან ურთიერთობისთვის. გრძელდება აბონენტთა მომსახურების ოფისების განახლება-გახსნა და არსებულს 2022 წელს დაემატა ახალი ოფისები: ქარელში, ამბროლაურში, ხარაგაულში, ხოლნში და წყალტუბოში. ასევე, გაიზარდა ქოლ ცენტრის ლოკაციათა რაოდენობა, შედეგად, თბილისთან და თელავთან ერთად, 2022 წელს სენაკშიც გაიხსნა კომპანიის ქოლ ცენტრის ოფისი, რომელიც ჩართულია საერთო პროგრამულ უზრუნველყოფაში. აბონენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ყველა თანამშრომელს ჩაუტარდა ტრენინგები მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ასევე სექტორში არსებულ საკანონმდებლო რეგულაციებში. ამასთან, დაინერგა აბონენტებთან ურთიერთობის დეპარტამენტის თანამშრომელთა ტესტირების ახალი სიტემა.

არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

2017 წლის 1 იანვარს საწარმოო რესურსების დაგეგმვის (IFS) ახალი სისტემის დანერგვამ კომპანიას საშუალება მისცა, მოეცვა და გაეერთიანებინა მთავარი საოპერაციო პროცესები: ბუღალტრული აღრიცხვა, ტექნიკური მომსახურების პროექტები, შესყიდვები, ადამიანური რესურსები, ახალი მომხმარებლების მიერთება და დოკუმენტბრუნვა. ორგანიზაციის ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, 2022 წელს კომპანიამ გააგრძელა სისტემის დახვეწა. IFS არის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მართვის სისტემა ევროპაში საშუალო ზომის კომპანიებისთვის და, რეიტინგის მიხედვით, საუკეთესო სამეულში შედის. ამ სისტემით შემუშავდა კომპანიის რესურსების ეფექტური მართვა ფინანსური, ლოგისტიკური, ტექნიკური, პროექტის მართვის და სხვა მიმართულებებით.

ორგანიზაციის ეფექტიანობა

2021 წელს კომპანიამ დაიწყო Digsilent Power Factory პროგრამის დანერგვა ყველა ტექნიკური მიმართულების დეპარტამენტში და წარმატებით განახორციელა ქსელის ანალიზი და მოდელირება. Digsilent Power Factory - წარმოადგენს ქსელის მოდელირების ერთ-ერთ წამყვან პროგრამას მთელ მსოფლიოში. განახლებადი ენერგიის წყაროები იწვევს ქსელში ჰარონიკული დამახინჯების გაგრძელებას. ქსელის საიმედო და მდგრადი მუშაობის შენარჩუნების მიზნით, კომპანია Digsilent Power Factory-ის საშუალებით განაცხადის მიღებისთანავე, წინასწარ ანგარიშობს მათ გავლენას ელექტრომომარაგების ხარისხზე. გარდა ამისა, აღნიშნული პროგრამის დახმარებით ქსელზე არასიმეტრიული და სპეციფიკური მომხმარებლის მიერთების დაგეგმვისას კომპანია წინასწარ ანგარიშობს, ქსელზე მოსალოდნელ ნეგატიურ უკუგავლენას. 6-10 კვ ქსელში ენერგიის დანაკარგის შემცირების მიზნით, კომპანიამ Digsilent Power Factory-ს ანგარიშებზე დაყრდნობით შეიმუშავა და განახორციელა საპილოტე პროექტი, რომლის საშუალებითაც 6 კვ საფიდერო ეგზ-ებზე დანაკარგი შემცირდა 11%-ით (18%-დან 16%-მდე). 2022 წლის განმავლობაში პროგრამა Digsilent power factory-ში მოხდა 26 გენერაციის ობიექტზე საპროგნოზო დანაკარგების ანგარიში. ასევე, პროგრამის საშუალებით შესწავლილი იქნა ქსელში ძაბვის ვარდნა/გადატვირთვა და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. ამასთან, 5 წლიანი განვითარების გეგმის შემუშავების დროს Digsilent Power Factory-ს საშუალებით ვანგარიშობთ SAIDI/SAIFI-ს კოეფიციენტებს და ელექტროენერგიის დანაკარგებს, რათა შეეფასათ დაგეგმილი პროექტების დადებითი ან უარყოფითი გავლენა მომხმარებლების ელ. მომარაგებაზე.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2020 წლის 8 ოქტომბრის #65/1 გადაწყვეტილების შესაბამისად, კომპანიაში მიმდინარეობს ელ. ქსელის აზომვა და ელექტრონული რუკების მომზადება. 2022 წელს კომპანიის სხვადასხვა სამსახურების ჩართულობით მომზადდა 15,546 კილომეტრი 10-6-0,4 კვ ქსელის ელექტრონული რუკა. სამუშაოების დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის 31 დეკემბერი.

კომპანიის სადისპეტჩერო დეპარტამენტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ენერგეტიკული სისტემის ყველა რგოლის ეკონომიური, საიმედო და გამართული მუშაობა. 2022 წელს ოპერატიულ-დისპეტჩერული მართვის სრულყოფის მიზნით ჩატარდა სწავლებები, ვარჯიშები და გამოცდები ისეთ საკითხებში როგორცაა: ელექტრო სადგურებისა და ქსელების ელექტრო-ტექნიკური დანადგარების მართვა, ოპერატიულ-დისპეტჩერული მართვა, ავარიის თავიდან აცილება, ლოკალიზაცია, ლიკვიდაცია და ნორმალური მუშაობის რეჟიმის აღდგენა და გადართვების წარმოება.

2022 წელს -30-ზე მეტი ქვესადგურის მართვა ხორციელდებოდა თანამედროვე SCADA-სისტემის მოწყობილობის საშუალებით. მისი დახმარებით ოპერატიულ-დისპეტჩერული მანიპულაციების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაზრდილია. 2022 წელს SCADA სისტემის ადმინისტრირების მიზნით კომპანიაში ჩატარდა რიგი სამუშაოები. ქვესადგურებში „კობი“, „გუდაური“, „ბათუმი-8“, „ქობულეთი“, „გამარჯვება“, „ბაკურიანი“, „ბათუმი-1“, „ბორჯომი-2“ განხორციელდა SCADA სისტემის ინსტალაცია, გაწყობითი სამუშაოები და ტესტირება-გაშვება; ქვესადგურებში „ლარსი“, „გოდერძი“, „ტყიბული-1“, „ტყიბული-2“, „ფოთი-4“, „ჭიათურა-1“, „ჭიათურა-3“, „ბათუმი-6“, „ბათუმი-7“, „შეკვეთილი“, „ფოთი-1“ ჩატარდა SCADA სისტემის რევიზია, პროფილაქტიკა და გამოცდა; 32 ქვესადგურში, სადაც დანერგილია SCADA სისტემა ჩატარდა გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები; აჭარის სადისპეტჩერო სამსახურის მართვის ფარზე მოწყობილ SCADA სისტემაზე, საიდანაც იმართება და ინფორმაცია მოდის აჭარის ქვესადგურებიდან, მუდმივად ხორციელდება მონიტორინგი.


2022 წელს განყოფილებაში, დეპარტამენტების მოთხოვნის შესაბამისად, მასალა-მოწყობილობებზე შეიქმნა 64 სტანდარტი და სპეციფიკაცია (ISO, IEC/CEV, CENELEC საერთაშორისო სტანდარტების დაცვით);

კომპანიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვას. აღნიშნული მიზნით სს „ენერგო-პრო ჯორჯია“-ში ფუნქციონირებს 12 ელექტროტექნიკური პერსონალის პრაქტიკული და თეორიული სწავლების ცენტრი (სასწავლო პოლიგონები). პოლიგონები განთავსებულია თელავში, რუსთავში, მარნეულში, მცხეთაში, დუშეთში, ხაშურში, საჩხერეში, ახალციხეში, ამბროლაურში, ქუთაისში, სენაკსა და ბათუმში.

არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

2022 წლის განმავლობაში ჩატარდა სწავლებები და ტრენინგები შრომის უსაფრთხოების წესებთან დაკავშირებით ისეთ თემებზე, როგორებიცაა: საფრთხეების იდენტიფიცირება და რისკების შეფასება, მომხდარი უბედური შემთხვევების ანალიზი, უსაფრთხოების ტექნიკის წესები, პირველადი დახმარების გაწევა, საგანგებო მართვის გეგმა და ა.შ. ასევე, 2022 წლის განმავლობაში მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 4,074 შემოწმება, რომლის შედეგებიც მოცემულია ცხრილი #3-ში.

ცხრილი #3



SAIDI & SAIFI

SAIDI და SAIFI არის ელექტრომომარაგების საიმედოობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

- ენერგიის წყვეტის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი (SAIDI) – SAIDI არის ერთ მომხმარებელზე ელექტროენერგიის გამორთვების საშუალო ხანგრძლივობა, SAIDI წუთი/მომხმარებელი.
- სისტემის გათიშვის საშუალო სიხშირის ინდექსი (SAIFI) – SAIFI არის ერთ მომხმარებელზე ელექტრომომარაგების გამორთვების საშუალო რაოდენობა – SAIFI გამორთვები/მომხმარებელი.

სემეკის 2016 წლის 26 აგვისტოს N16 დადგენილებით, კომპანიები ვალდებული არიან, დაიცვან ხარისხობრივი კოეფიციენტების საიმედოობა, ხოლო, დაბალი მაჩვენებლების შემთხვევაში, გააუმჯობესონ ისინი.

2022 წლისა და 2021 წლის ფაქტობრივი SAIDI და SAIFI წარმოდგენილია ქვემოთ, №5 ცხრილში:

ცხრილი № 4

კომპანია/წელი		2022		2021	
		SAIDI	SAIFI	SAIDI	SAIFI
სს „ენერგო-პრო ჯორჯია“	დაუგეგმავი გამორთვები	1,241.7	16.8	1,041.7	13.9

კომპანია აგრძელებს SAIDI-ს და SAIFI-ს გაუმჯობესებას წინა წლებთან შედარებით, თუმცა 2022 წელს აღნიშნული მაჩვენებლის გაუარესება გამოიწვია არაგეგმიური ფაქტორით გამორთვების რაოდენობის ზრდამ.

არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია ელექტრომომარაგების შეწყვეტის მთავარი მიზეზები:

- ▶ ავარიული შეფერხებები (საჰაერო ხაზები – მთლიანი ქსელის 95%-ზე მეტი);
- ▶ ავარიული გათიშვები, მომხმარებლის ქსელის გამო.
- ▶ პანდემია - მიუხედავად პროცესების სწრაფი რეორგანიზებისა, 2021-2022 წლის პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რამაც უარყოფითი შედეგები გამოიწვია.

გადამცემი ხაზების სიგრძე

2022 წლის მონაცემებით, ინფორმაცია კაბელისა და საჰაერო გადამცემი ხაზების სიგრძის შესახებ წარმოდგენილია ქვემოთ, №6 ცხრილში:

ცხრილი № 5

ქსელის სიგრძე	კმ	59,479.00
110/35 კვ	კმ	4,334.62
10/6 კვ	კმ	15,301.19
0.4 კვ	კმ	39,743.19
საჰაერო ხაზები	%	94.75
მიწისქვეშა კაბელები	%	5.25

ელექტროენერგიის განაწილება და დანაკარგები

კომპანია ახორციელებს ელექტროენერგიის განაწილებას 110/35, 10/6 და 0.4 ძაბვის საფეხურზე. განაწილება ხორციელდება როგორც პირდაპირ მომხმარებლებზე, ისე მიმწოდებლებზეც.

კომპანიის ინვესტიციებმა ქსელის გამრიცხველიანებაში ხელი შეუწყო ქსელის დანაკარგების შემცირებას და ფულადი სახსრების შეგროვების გაზრდას. 2007 წლიდან, როდესაც კომპანიამ დაიწყო ქსელის ოპერირება და 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ქსელის დანაკარგები შემცირდა 14.8% დან 9.4% მდე. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქსელის დანაკარგებმა შეადგინა 10.0%, რაც ნაკლებია 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 10.2%.


ფაქტობრივი მოცულობა წარმოდგენილია ცხრილით #6:

პერიოდი		2020	2021	2022
მიღებული კვტ.სთ	მლნ. კვტ.სთ	4,538	4,674	5,700
დარიცხული კვტ.სთ	მლნ. კვტ.სთ	4,042	3,869	3,818
გატარებული კვტ.სთ	მლნ. კვტ.სთ	496	804	1,312
კარგვა კვტ.სთ	მლნ. კვტ.სთ	470	531	570
კარგვა %	%	9.4%	10.2%	10.0%

გადაცემის და განაწილების ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგების დარეგულირება სემეკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა, რასაც ტარიფის განსაზღვრის პროცესში დანაკარგების ჩართვა მოწმობს. სემეკის 2006 წლის №17 დადგენილება - „საქართველოს ენერგოსისტემის ელექტრულ ქსელებში ელექტროენერგიის ნორმატიული დანაკარგების დამტკიცების შესახებ“ უდიდეს როლს ასრულებს ქსელის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და დანაკარგების შემცირებაში. კომპანიის ნორმატიული დანაკარგები წარმოდგენილია ქვემოთ, №7 ცხრილში. 2021 წლის 1 იანვრიდან ნორმატიული დანაკარგი შეადგენს 9.8%-ს. აღნიშნული მოქმედია 2022 წელსაც. 2021 წელს კომპანიის დანაკარგები გაიზარდა, ძირითადად, მსხვილი აბონენტების ლიბერალიზაციის გამო.

არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ცხრილი № 7



მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტი

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის №798 ბრძანებით სისტემური რეგისტრაციის არეალად განისაზღვრა საქართველოს ტერიტორიის 1.2 მილიონი ჰექტარი და ამ წესით უფლებათა რეგისტრაცია 2022-2024 წლების განმავლობაში გათვალისწინებულია საქართველოს 59 მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიისა და თვითმმართველი ქალაქებისა: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი). კომპანია მონაწილეობს მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტში.

ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით EBITDA-ს (შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე) მარჯა და წმინდა მოგების მარჯა კომპანიის ფინანსური შედეგების შესაფასებლად რელევანტური მაჩვენებელია.


2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, EBITDA-ს მარჯა და წმინდა მოგების მარჯა წინა წელთან შედარებით, შესაბამისად, 20%-ით და 17%-ით გაიზარდა, რაც ძირითადად გამოწვეულია წინა წელთან შედარებით შესყიდული ელექტროენერგიის დანახარჯების შემცირებით (ცხრილი N8).

EBITDA-ს მარჯით ფასდება, რა პროცენტული წილი უკავია კომპანიის საოპერაციო მოგებას მთლიან შემოსავალში. იგი უდრის პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე შემოსავლის (EBITDA) შეფარდებას მთლიან შემოსავალთან.

წმინდა მოგების მარჯა - არის შემოსავლის ის პროცენტი, რომელიც რჩება კომპანიის მთლიანი შემოსავლიდან ყველა საოპერაციო ხარჯის, პროცენტის, გადასახადის, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯის გამოქვითვის შემდეგ.

ფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

ცხრილი № 8



დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ მონაცემებზე

კომპანია შემოსავალს იღებს სხვადასხვა საქმიანობიდან, როგორცაა განაწილება მიმწოდებლებზე და მესამე პირებზე და ახალი მომხმარებლების მიერთება განაწილებულ ქსელზე.

2022 წლის განმავლობაში განაწილებული მოცულობაა 5,130 გგვტ/სთ. ელექტროენერგიის განაწილებიდან მიღებული შემოსავალი 451,130 ათას ლარს, ხოლო ქსელთან მიერთების მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი 45,811 ათას ლარს გაუტოლდა.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

მდგრადი განვითარების პოლიტიკა

კომპანიის დედა კომპანიას ENERGO-PRO A.S.-ს და ყველა მის შვილობილ კომპანიას შემოაქვს „მდგრადობის პოლიტიკა“. ENERGO-PRO A.S.-ს ჯგუფი მოწოდებულია მდგრადი განვითარებისა და მისი ინვესტიციების გავლენის სფეროებში მცხოვრები საზოგადოების კეთილდღეობისა და დაცვისკენ. კომპანია აღიარებს, რომ ის პოლიტიკა და პრაქტიკა, რომელსაც დღეს ვიღებთ, აყალიბებს არა მხოლოდ ჩვენს ცხოვრებას, არამედ მომავალ თაობებს. ამიტომ, მიაჩნია, რომ აუცილებელია მდგრადობის საკითხების ინტეგრირება მის ყოველდღიურ ოპერაციებში. ENERGO-PRO A.S.-ს მიერ დამტკიცებული პოლიტიკების მიზანია აღწეროს კომპანიის მდგრადობის ვალდებულებები. იგი აღწერს ლიდერობას, გარემოს და ბიომრავალფეროვნებას, თემებს, მმართველობას და ადამიანური რესურსების ვალდებულებებს.

გარემოს დაცვა

კომპანია კარგად აცნობიერებს თავის სოციალურ და გარემოსდაცვით პასუხისმგებლობას. კომპანიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, ხელი შეუწყოს არსებული რესურსების სამართლიან მოხმარებას, რაც ზიანს არ მიაყენებს გარემოს.

ჩვენი პროექტები ელექტროენერგიის განაწილებაში სრულად აკმაყოფილებს გარემოსდაცვით მოთხოვნებს. კომპანია ცდილობს აღმოფხვრას და თავიდან აიცილოს გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგები.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ განახორციელა რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი, როგორცაა:

- ▶ გარემოსდაცვითი რეგულაციების შესრულებაზე მუშაობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან;
- ▶ ნარჩენების მართვის გეგმის განახლება და პროექტის წარდგენა სამინისტროში შესატანხმებლად;
- ▶ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების დოკუმენტაციის მომზადება და/ან განახლება საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროში;
- ▶ სხვადასხვა სახის კორესპონდენციის წარმოება, რომელიც ეხებოდა გარემოს დაცვის საკითხებს;
- ▶ განვითარების დეპარტამენტისთვის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაციის მომზადებაში მონაწილეობის მიღება, შეხვედრებში მონაწილეობა, კონტრაქტორებთან შეხვედრების ჩათვლით, ნარჩენების მართვის გეგმების მომზადება ახალი პროექტებისთვის;
- ▶ ენერგო-პრო ჯგუფთან და ჩეხეთის ოფისთან ერთად მუშაობა სხვადასხვა საკითხებსა და დოკუმენტებზე; მათ მიერ მოთხოვნილი დოკუმენტების მოძიება და გაგზავნა;
- ▶ ენერგო-პრო ჯგუფთან ერთად ESG Risk Rating-ის და South Pole-თან ერთად GHG Accounting დოკუმენტებზე მუშაობა.
- ▶ შრომის პირობების დაცვის მონიტორინგი.
- ▶ სამინისტროს წარმომადგენლებთან მუშაობა ახალ კანონზე და ახალ რეგულაციებზე პოლიქლორირებულ ბიფენილებთან დაკავშირებით.
- ▶ სახიფათო ნარჩენების მართვა - (თხევადი) ნარჩენების გატანა/საბოლოო განთავსება გორისა და ქუთაისის სატრანსპორტო საამქროდან;

კომპანიის პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი საყრდენი მისი თანამშრომლებია. ამიტომ პრიორიტეტი ენიჭება ადამიანური რესურსების ჯეროვან მართვას და საწარმოში საკადრო პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებას. დღესდღეობით კომპანიაში დასაქმებულია 5,055 ადამიანი. თანამშრომელთა მოტივირება, მათი ტრენინგი-განვითარება, სათანადო პირობების შექმნა, დისციპლინისა და სამუშაოსადმი თავდადების შემუშავება განმსაზღვრელი და აუცილებელი ფაქტორია იმისათვის, რომ საწარმომ დასახულ მიზნებს მიაღწიოს.

კომპანია აქტიურად მონაწილეობს სოციალურ ცხოვრებაში და ახორციელებს შემდეგ სოციალურ პროექტებს.

მათ შორისაა:

- ▶ **ენერგოსექტორის პოპულარიზაცია ახალგაზრდებს შორის** – სამიზნე ჯგუფებია მოსწავლეები და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები. პროექტის მიზანია მათი დაინტერესება ამ სფეროთი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების მეშვეობით და ასევე თბოელექტროსადგურების მონახულებითა და პრეზენტაციების წარმოდგენით.
- ▶ **კვალიფიკაციის ასამაღლებელი შიდა და გარე ტრენინგები** – თანამშრომელთა პროფესიული განვითარებისთვის კომპანიას შექმნილი აქვს სპეციალური სასწავლო-საველე ზონები, სადაც ტარდება თეორიული და პრაქტიკული ტრენინგები შრომის უსაფრთხოების შესახებ. ასევე ტარდება სხვა შიდა და გარე ტრენინგები, რომლებიც თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ემსახურება. პროფესიულ კოლეჯ მერმისთან ერთად შემუშავდა პროგრამა ელექტროუსაფრთხოება და ელექტროტექნიკის საფუძვლები. ამ პროგრამის ხანრძლივობაა 90 საათი, ფორმატი დისტანციური, ლექციები ჩაატარეს როგორც კოლეჯის წარმომადგენლებმა, ასევე ჩვენი კომპანიის შიდა ტრენერებმა. ლექციების დასრულების შემდგომ კოლეჯის ტერიტორიაზე ჩატარდა ტესტირება, რის საფუძველზეც აღნიშნული პროგრამის მონაწილეებმა მიიღეს დიპლომი.
- ▶ **სტაჟირება სტუდენტებისთვის** – კომპანია ახორციელებს ინოვაციურ პროექტს, რომლის ერთ-ერთი ასპექტი ითვალისწინებს მემორანდუმს 18 უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებელთან. ამ სასწავლებლების წარმატებული სტუდენტები იღებენ სტიპენდიებს და სტაჟირებას გადიან კომპანიაში შემდგომი დასაქმების პერსპექტივით. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს კომპანიას ჰყავს 3 სტიპენდიანტი ახალგაზრდა გოგონა, რომლებიც დაინტერესდნენ ენერგეტიკის მიმართულებით.

ამასთან, საზაფხულო დასაქმების პროგრამის ფარგლებში, ენერგოსექტორით დაინტერესებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, მიიღონ ანაზღაურებადი სტაჟირება. ისინი, ვინც სტაჟირებას წარმატებით გაივლიან, კომპანიაში აგრძელებენ მუშაობას. 2021 წელს ქუთაისში გაიხსნა EPG კლასი. აკაკი წეთლის სახელობის სახელმწიფო ინსტიტუტში დაარსდა კომპანიის სახელობითი აუდიტორია, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე სწავლებისთვის საჭირო ინვენტარით.

დამატებითი ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

- ▶ **ჩეხურ ქართული საგანმანათლებლო პროექტი** - ჩეხურ - ქართული სამეცნიერო პროგრამის ფარგლებში კომპანია თანამშრომლობს ქართულ და ჩეხურ უნივერსიტეტებთან. საგრანტო პროექტის ფარგლებში ჰიდროენერგეტიკული მიმართულებით კონფერენციაზე განხორციელდა კომპანიის და უნივერსიტეტების ერთობლივი ნაშრომის წარდგენა, სტუდენტებისთვის ვორკშოპების ჩატარება, აკ. წერეთლის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სტიპენდიების შეთავაზება ჩეხეთის მხარის მიერ. 2022 წლის განმავლობაში მოცემული პროექტის ფარგლებში პრალისა და ქუთაისის უნივერსიტეტში ჩატარდა ვორკშოპები თემაზე - პროფესიული შესაძლებლობების გაძლიერება ჰიდროენერგეტიკაში. აკ. წერეთლის უნივერსიტეტის სტუდენტები იმყოფებოდნენ სასწავლო ვიზიტით პრალაში, კომპანია ამ პროექტის პარტნიორი და თანადამფინანსებელია.
- ▶ **თანამშრომელთა მოტივირება** - კომპანია თითოეულ თანამშრომელს უფინანსებს ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და უბედური შემთხვევებისგან დაზღვევას. თანამშრომელთა შეფასება და წახალისება მუდმივად ხდება ფულადი და არაფულადი კომპენსაციით.
- ▶ **სამუშაო გარემო** - კომპანიის ხელმძღვანელობა ზრუნავს თანამშრომლებისთვის ოპტიმალური სამუშაო გარემოს შექმნასა და მათ პროფესიულ განვითარებაზე. ითვალისწინებს რა ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე მეთოდებსა და სტანდარტებს, კომპანია საკადრო პოლიტიკას ახორციელებს შრომითი რეგულაციების მიხედვით, რომლებითაც განისაზღვრება შრომითი ურთიერთობის დარეგულირება, კადრების შერჩევა, თანამშრომელთა განვითარება, შრომის ანაზღაურება და წახალისება, თანამშრომელთა დაცვა-უსაფრთხოება და ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.
- ▶ **სამუშაოს მიღმა** - კომპანია დროდადრო აწყობს სხვადასხვა კულტურულ და სპორტულ ღონისძიებას და შეხვედრებს სამუშაო გარემოს გასაუმჯობესებლად და კორპორატიული კულტურის განსავითარებლად. ასეთი მიდგომით ჩვენ ვწერგავთ გუნდურ სულისკვეთებას და ვქმნით გარემოს, სადაც თანამშრომლები ერთმანეთს ეხმარებიან და ნდობას უცხადებენ.
- ▶ **კარიერული განვითარება** - კომპანია ახალი თანამშრომლების ასაყვანად ეყრდნობა თანამედროვე პროცედურებს, რაც მოიცავს კანდიდატების ძებნას, შეფასებას, შერჩევას და ვაკანტურ თანამდებობაზე დანიშვნას. ვაკანტური თანამდებობებისთვის ჯერ შიდა კანდიდატები განიხილებიან. შიდა კანდიდატების არარსებობის შემთხვევაში, ახალი თანამშრომელი გარე კანდიდატებიდან შეირჩევა. კანდიდატის საბოლოო შეფასება ხდება ვაკანსიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლებიც შეეხება განათლებას, სამუშაო გამოცდილებას და პროფესიულ ცოდნას, ბიზნესუნარებს და თვისებებს, ზოგად უნარებს და ტექნიკურ უნარებს. კომპანიის ხელმძღვანელობა გამოცდილი პროფესიონალების დახმარებით ახორციელებს ახალბედა თანამშრომლებს დატრენინგებას და განვითარებას. კომპანიის საკადრო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდა თაობის ცოდნის გაღრმავება, რასაც კომპანია ახორციელებს თავისივე - მაღალკვალიფიციური და გამოცდილი თანამშრომლების მხარდაჭერით.

ეს მიმართულებები კომპანიის ბიზნესსტრატეგიისა და კულტურის განუყოფელი ნაწილია. ისინი დღემდე წარმატებით და ეფექტურად მუშაობს, რაც მომავალში მათი გაგრძელების და განვითარების საწინდარია.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები

ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციების მიზანია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად. დეტალური ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების „ფინანსური რისკების მართვის“ შენიშვნებში.

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები (გაგრძელება)

ბიზნესის რისკის მართვა

კომპანიის მთავარი საოპერაციო და იურიდიული რისკები უკავშირდება საქართველოს მარეგულირებელ გარემოს და ეკონომიკურ სიტუაციას. საქართველოს ენერგოსექტორში გაგრძელდა ფუნდამენტური ცვლილებები, რომელიც აღწერილია „ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში“. ნებისმიერი ახალი რეგულაცია ან არსებული რეგულაციების ნებისმიერი ცვლილება, როგორცაა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ევროკავშირთან უფრო მჭიდროდ მოახდინოს თავისი მარეგულირებელი ჩარჩოს დაახლოება, შეიძლება მოითხოვოს მნიშვნელოვანი ცვლილებები კომპანიის საქმიანობაში, მაგალითად მოახდინოს კომპანიის რესტრუქტურირება ან სხვაგვარად შეცვალოს თავისი ბიზნესი, შეიძლება ჰქონდეს არსებითი უარყოფითი ეფექტი, კომპანიის საქმიანობაზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

კომპანიაზე ასევე ვრცელდება ლიცენზირების ბევრი მოთხოვნა და მასზე შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ლიცენზიის დაკარგვამ ან სალიცენზიო მოთხოვნების შეუსრულებლობამ.

კომპანია ექვემდებარება მკაცრ რეგულირებას, განსაკუთრებით ელექტროენერგიის განაწილების ტარიფებთან დაკავშირებით. რეგულირებად ტარიფებში შესული ნებისმიერი ცვლილება შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიას აქვს რისკი იმისა, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა შემცირდეს და შესაბამისად შემცირდეს განაწილებული ელექტროენერგიის მოცულება. კომპანიის ელექტროენერგიაზე მოთხოვნას, ძირითადად, განსაზღვრავს საქართველოში ეკონომიკური აქტივობის დონე. ეკონომიკის შეფერხება, როგორც წესი, იწვევს ელექტროენერგიის მოხმარების შემცირებას, ეს კი უარყოფითად მოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. განაწილების ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგია საჭიროებს დაშვებებს ელექტროენერგიის განაწილების მოცულობასთან დაკავშირებით. თუ ფაქტობრივი განაწილების მოცულობა დაშვებულზე ნაკლებია, ეს უარყოფითად აისახება კომპანიის ელექტროენერგიის განაწილებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე, რადგან დაყოვნდება ანაზღაურების გადანაწილება. კომპანიაზე ასევე მოქმედებს ეკონომიკური პირობების გაუარესების შედეგად საექვო დებიტორული დავალიანების დონეების ზრდა.

ძირითადი მმართველობითი ფუნქციები უზრუნველყოფს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რათა ზემოაღნიშნული რისკფაქტორები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 მაისს.

გრიგოლ მამისეიშვილი

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე

2023 წლის 31 მაისი

თბილისი, საქართველო

დიანა ელისაშვილი

მთავარი ბუღალტერი

2023 წლის 31 მაისი

თბილისი, საქართველო

ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები (გაგრძელება)

ბიზნესის რისკის მართვა

კომპანიის მთავარი საოპერაციო და იურიდიული რისკები უკავშირდება საქართველოს მარეგულირებელ გარემოს და ეკონომიკურ სიტუაციას. საქართველოს ენერგოსექტორში გაგრძელდა ფუნდამენტური ცვლილებები, რომელიც აღწერილია „ელექტროენერგიის ბაზრის სტრუქტურა საქართველოში“. ნებისმიერი ახალი რეგულაცია ან არსებული რეგულაციების ნებისმიერი ცვლილება, როგორცაა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება ევროკავშირთან უფრო მჭიდროდ მოახდინოს თავისი მარეგულირებელი ჩარჩოს დაახლოება, შეიძლება მოითხოვოს მნიშვნელოვანი ცვლილებები კომპანიის საქმიანობაში, მაგალითად მოახდინოს კომპანიის რესტრუქტურირება ან სხვაგვარად შეცვალოს თავისი ბიზნესი, შეიძლება ჰქონდეს არსებითი უარყოფითი ეფექტი, კომპანიის საქმიანობაზე, ოპერაციების შედეგებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

კომპანიაზე ასევე ვრცელდება ლიცენზირების ბევრი მოთხოვნა და მასზე შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ლიცენზიის დაკარგვამ ან სალიცენზიო მოთხოვნების შეუსრულებლობამ.

კომპანია ექვემდებარება მკაცრ რეგულირებას, განსაკუთრებით ელექტროენერგიის განაწილების ტარიფებთან დაკავშირებით. რეგულირებად ტარიფებში შესული ნებისმიერი ცვლილება შეიძლება უარყოფითად აისახოს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე.

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანიას აქვს რისკი იმისა, რომ ქვეყანაში ელექტროენერგიაზე მოთხოვნა შემცირდეს და შესაბამისად შემცირდეს განაწილებული ელექტროენერგიის მოცულება. კომპანიის ელექტროენერგიაზე მოთხოვნას, ძირითადად, განსაზღვრავს საქართველოში ეკონომიკური აქტივობის დონე. ეკონომიკის შეფერხება, როგორც წესი, იწვევს ელექტროენერგიის მოხმარების შემცირებას, ეს კი უარყოფითად მოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და საოპერაციო შედეგებზე. განაწილების ტარიფის გამოთვლის მეთოდოლოგია საჭიროებს დაშვებებს ელექტროენერგიის განაწილების მოცულობასთან დაკავშირებით. თუ ფაქტობრივი განაწილების მოცულობა დაშვებულზე ნაკლებია, ეს უარყოფითად აისახება კომპანიის ელექტროენერგიის განაწილებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე, რადგან დაყოვნდება ანაზღაურების გადანაწილება. კომპანიაზე ასევე მოქმედებს ეკონომიკური პირობების გაუარესების შედეგად საექვო დებიტორული დავალიანების დონეების ზრდა.


ძირითადი მმართველობითი ფუნქციები უზრუნველყოფს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფას, რათა ზემოაღნიშნული რისკფაქტორები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი.

გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 მაისს.



გორგილ მამისაშვილი

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე



დიანა ელისაშვილი

მთავარი ბუღალტერი

2023 წლის 31 მაისი

თბილისი, საქართველო

2023 წლის 31 მაისი

თბილისი, საქართველო